

მარია ჩიკვაია  
ლია ანთია, ლალი იაშვილი

# მ უ ს ი კ ა

## III კლასი

### მასწავლებლის ნიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს



გამომცემლობა ინტელექტი  
თბილისი 2023

მარიკა ჩიკვაძე, ლია ანთიძე, ლალი იაშვილი

მუსიკა III

მასწავლებლის წიგნი

I გამოცემა, 2023

რედაქტორი

მანია ინტბელიძე

დამკაბადონებელი

ლიკა სხირტლაძე

*გამოყენებულია საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს რესურსი*

ISBN 978-9941-31-636-4

© მარიკა ჩიკვაძე, ლია ანთიძე, ლალი იაშვილი, 2023.

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2023.

**გამომცემლობა ინტელექტი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5

225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54

ფაქსი: 225-05-22

ელფოსტა: [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge) ვებგვერდი: [www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge)



## სარჩევი

I შესავალი .....	5
II კომპლექტაცია.....	5
III მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი .....	7
IV მდგრადი განვითარება .....	13
V როგორ მოვახდენთ ცოდნის კონსტრუირებას?.....	13
VI რა შემთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები მიღწეულად..	15
VII კომპლექსური დავალებები, აქტივობები, კომენტარები .....	16

### I თავი. თემა: ქალაქისა და სოფლის ხეობი

კომპლექსური დავალება № 1 (აქტივობა 25-29).....	17
აქტივობა 1 .....	22
აქტივობა 2-3.....	23
აქტივობა 4 .....	25
აქტივობა 5 .....	26
აქტივობა 6 .....	27
აქტივობა 7 .....	28
აქტივობა 8-9 .....	29
აქტივობა 10 .....	32
აქტივობა 11 .....	33
აქტივობა 12-14.....	34
აქტივობა 15-16.....	36
აქტივობა 17 .....	39
აქტივობა 18-19.....	39
აქტივობა 20 .....	42
აქტივობა 21 .....	44
აქტივობა 22-23.....	44
აქტივობა 24 .....	47

## **II თავი. თემა: მუსიკალური გასაქმება ქალაქსა და სოფელში**

კომპლექსური დავალება № 2 (აქტივობა 44-48) .....	50
აქტივობა 30 .....	54
აქტივობა 31-32 .....	54
აქტივობა 33 .....	57
აქტივობა 34 .....	58
აქტივობა 35-36 .....	60
აქტივობა 37 .....	61
აქტივობა 38 .....	62
აქტივობა 39 .....	63
აქტივობა 40 .....	65
აქტივობა 41 .....	66
აქტივობა 42-43 .....	67

## **III თავი. თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე**

კომპლექსური დავალება № 3 (აქტივობა 60-64) .....	69
აქტივობა 49 .....	74
აქტივობა 50 .....	75
აქტივობა 51 .....	76
აქტივობა 52-53 .....	77
აქტივობა 54 .....	77
აქტივობა 55-59 .....	79

VIII – ელექტრონული რესურსის ჩამონათვალი .....

80

IX – მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი .....

82

სანოტო დანართი .....

86

ინფორმაცია Linux პროგრამის შესახებ: LMMS, anu Linux MultiMedia Studio .....

110

## I – შესავალი

მუსიკის მესამე სასწავლო წლის ჩვენ მიერ შედგენილი მოსწავლის სამუშაო რვეულისა და მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნის **შინაარსი** შეესაბამება სტანდარტში ჩამოყალიბებულ ზოგადსა და საფეხურებრივ მიზნებს, თანამედროვე კონცეფციებს, მოსწავლეთათვის ნაცნობ სამყაროს. ხოლო ამ შინაარსის მრავალფეროვანი **მეთოდებით** განხორციელება მასწავლებლის წიგნის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მივიჩნიეთ.

სწავლების ამ საფეხურზე ჩვენი მიზანია, მოზარდს მუსიკის გაკვეთილზე ჩამოუყალიბდეს და განუვითარდეს სხვადასხვა უნარ-ჩვევა: თვითგამოხატვის – თავისი დამოკიდებულებების, ემოციის ახსნის, წარმოსახვისა და ძველსა და ახალს შორის კავშირის დამყარების, გაანალიზების, მღერის. ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკსა და გარემომცველი სამყაროს შესაბამის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კლასგარეშე ზეგავლენებს, საგანთაშორის კავშირებს.

## II – კომპლექტაცია

### სახელმძღვანელოს თითოეული სახის მოკლე აღწერა და პრაქტიკული გამოყენება (ნავიგაცია)

#### წარმოდგენილი ნაშრომი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მოსწავლის სამუშაო რვეული;
- მასწავლებლის წიგნი;
- ელექტრონული რესურსი.

**1. მოსწავლის სამუშაო რვეული** – ჩვენი მიზანია, ბავშვში, მისი ალქმითი უნარების შესაბამისად, გავალვივოთ ინტერესი მუსიკისადმი, მუსიკის გაკვეთილებისადმი, სისტემაში მოვიყვანოთ მისი შესაძლებლობები; შევუქმნათ წარმოდგენა სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც თავისებურად აისახება მუსიკალურ მხატვრულ სახეებში.

სამუშაო რვეული სტანდარტით გათვალისწინებული სამი თემის ფარგლებში შეიცავს დავალებებს (ეს დავალებები მასწავლებლის წიგნში აქტივობების სახით არის წარმოდგენილი), რომლებიც წარმოადგენს ერთგვარ ნაბიჯებს, გადადგმულს შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შესასრულებლად. თითოეული დავალების (აქტივობის) განხორციელებას ხშირ შემთხვევაში დაეთმობა ერთი საგაკვეთილო საა-

თი. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო რვეული, როგორც რესურსი, ყველა გაკვეთილის წარმართვისთვის არ არის გათვალისწინებული, მასწავლებლის წიგნში განთავსებული აქტივობებისა და სამუშაო რვეულის დავალებების ნუმერაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა, ვფიქრობთ, მასწავლებელს არ გაუძნელდება სახელმძღვანელოს გამოყენება (ორიენტირება).

დავალების ინსტრუქციის მიცემამდე, მოსწავლეებს მცირე ინფორმაციასაც ვანვდით კონკრეტული საკითხის შესახებ. ეს არის ადვილად გასაგები ტექსტები (ე.წ. „ცოდნის სკივრი“), ფერადოვანი ილუსტრაციები, რაც, ვფიქრობთ, დაეხმარება პატარებს გაკვეთილის შინაარსის აღქმასა და გაგებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია დავალებების ბოლოს დასმული შეკითხვები, რაც მასწავლებლისთვის ერთგვარ უკუკავშირს წარმოადგენს, იგი გაარკვევს, თუ რამდენად აითვისა, გაიგო ბავშვმა გადაცემული ცოდნა/ინფორმაცია. ეს კითხვები დაეხმარება მოსწავლეს საკითხის გააზრებასა და განზოგადებაში.

**2. ელექტრონული რესურსი** – იმაზე, თუ რა სახის რესურსს გამოვიყენებთ სასწავლო პროცესში, ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეთა დაინტერესების, კლასში ჩართულობის, მათ მიერ მასალის აღქმის ხარისხი. პატივცემულ მასწავლებლებს გაკვეთილის ეფექტურად წარმართვისათვის ვთავაზობთ აუდიო/ვიდეოფირებს, რომლებიც განკუთვნილია საგნის სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე გასასვლელად. ვიდეო/აუდიო ფირების, ე.წ. „ხმა-სემპლების“ ნახვა/მოსმენა სწავლა-სწავლების პროცესს სიცხადეს მიანიჭებს, გაუადვილებს მასწავლებელს ინტერაქტივის საშუალებით საკითხის/თემის მიტანას მოსწავლემდე, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა გაიაზროს, დასკვნები გამოიტანოს, ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინოს. მასწავლებელს თავადაც შეუძლია მოიძიოს და, სურვილისამებრ, შეარჩიოს მუსიკალური მასალა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსი განთავსებულია ელექტრონულ საქალაქში (ე.წ. ფოლდერში), რომლის ნუმერაცია შეესატყვისება კონკრეტული აქტივობის ნომერს, რაც მასწავლებელს გაუადვილებს რესურსის მოძებნას.

**კომპიუტერული პროგრამა LMMS** – აღნიშნული რესურსის გამოყენება ამგვარად წარმოგვიდგენია: მასწავლებელი პერსონალური კომპიუტერიდან გადაუგზავნის მოზარდებს პირად ბუკებში სხვადასხვა ხმოვან ეფექტებს, ე.წ. „სემპლებს“, რასაც მოსწავლეები გახსნიან და მოისმენენ, გარკვეულ ინსტრუქციებს შეასრულებენ, უპასუხებენ დასმულ კითხვებს. მოსწავლეებს თავადაც შეუძლიათ მოიძიონ/შექმნან ე.წ. „ხმა-სემპლები“, გააფორმონ რიტმულად, შექმნან მუსიკალური კოლაჟი, ბოლოს კი წარადგინონ იგი.

**3. მასწავლებლის წიგნი** – წინამდებარე დამხმარე სარეკომენდაციო წიგნზე მუშაობისას ვეყრდნობოდით მესამე თაობის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას, შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციები, კომენტარები და ზოგადად, მასწავლებლის წიგნის მთლიანი შინაარსი შესაბამისობაშია ამ ახალ დოკუმენტთან.

### III – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპლექსურ დავალებას. ეს არის უწყვეტი პროცესი პირველი კომპლექსური დავალებიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე და ა.შ. ჩვენი მიზანია, შევეცადოთ, ეს ჯაჭვი იყოს თანმიმდევრული და უწყვეტი.

კომპლექსური დავალება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ეფუძნება: ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისაკენ. იგი წინარე ცოდნას ეფუძნება და იძლევა სხვადასხვა აკადემიური მზაობის მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა გამოიყენოს მრავალფეროვანი მიდგომა და სტრატეგია, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

კომპლექსურ დავალებაში იგულისხმება პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც ადასტურებს თავის ცოდნას შესასწავლი/განსახილველი საკითხის მიმართ.

**კომპლექსური დავალების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:**

ა) კომპლექსური დავალება არის უფრო საკლასო სამუშაო, ვიდრე საშინაო დავალება. იგი სრულებითაც არ ასოცირდება სახლში შესასრულებელ დავალებასთან. რეალურად, ეს უნდა გახდეს საკლასო სივრცეში შესასრულებელი დავალება, სადაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ. ბუნებრივია, დავალების გარკვეული ნაწილი სახლშიც მიყვება მოსწავლეს, ამგვარად მოხდება მშობლის ინფორმირებაც, ვინაიდან მისი მხრიდან მხოლოდ მორალური მხარდაჭერაა საკმარისი, თუმცა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს გადატანილი გაკვეთილზე. ეს არის ერთგვარი შესაძლებლობა, რომელიც უნდა განხორციელდეს საკლასო სივრცეში;

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მუშაობს კომპლექსურ დავალებაზე, ეხმარება მათ. ის თითოეული მოსწავლის გუნდის წევრია. შესაბამისად, ამ დავალების შესრულებას/განხორციელებას დაეთმობა 4-5 გაკვეთილი (ეს დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე). დავალების მიცემით მასწავლებელს ეხსნება ერთგვარი ფანჯარა მოსწავლესთან კომუნიკაციისთვის, სწორედ ამგვარი ფანჯრის ფარგლებში იქნებიან ინტერაქციაში მასწავლებელი და მოსწავლე;

გ) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში უმთავრესია მოსწავლის მსჯელობა და არა პროდუქტი. ბუნებრივია, პროდუქტი (მაკეტი, კოგნიტური სქემა, თხზულება და ა.შ.) კომპლექსური დავალების განუყოფელი ნაწილია, თუმცა ეს არის უფრო საშუალება იმისათვის, რომ ბავშვმა იმსჯელოს, „გაასიტყვოს“ ნამუშევარი. კომპლექსური დავალება არის ბავშვის „ალაპარაკების“, მისი გამოცდილების „შემოყვანის“, სასწავლო პროცესში ინტეგრირების ეფექტური საშუალება. ცხადია, მხოლოდ პროდუქტი არაფრის მომცემი იქნება (მით უფრო, თუკი იგი მშობლის დახმარებით იქნება შექმნილი). პროდუქტი ერთგვარად ეხმარება მოსწავლეს ფიქრისა და აზროვნების პროცესში.

სახელმძღვანელოში განთავსებული თითოეული განსახილველი საკითხი, ჩვენ მიერ შემოთავაზებული აქტივობები, შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების მოსამზადებელ ეტაპებს წარმოადგენენ. ახალი საკითხის შესწავლის დაწყებისთანავე მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს შესასრულებელი კომპლექსური დავალების პირობას. თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, და აგრეთვე იმისათვის, რომ დააფიქროს მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას, კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს.

ამგვარი მიდგომით ის უხსნის პატარებს, თუ რის გაკეთებას შეძლებენ საკითხის შესწავლის დასრულებისას.

## **საბნობრივი სტანდარტი მუსიკა დაწყებით საფეხურზე შესავალი**

დაწყებით საფეხურზე მოსწავლე შეისწავლის მუსიკის ენის ელემენტებს; მის გამოსახველობით საშუალებებს.

სტანდარტში **შედეგებისა და სამიზნე ცნებების** სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები**.

**შინაარსი** აღინერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ამ შინაარსებზე დაყრდნობით ყალიბდება შუალედური მიზნები. სტანდარტში სავალდებულოდ განსაზღვრულია თემები, ცნება და ქვეცნებები, ხოლო ქვეთემებსა და საკითხებს სკოლები თავად აკონკრეტებენ. თითოეულ თემას ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში.

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში განერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დანყ.1.:**

„**მუს.**“ – მიუთითებს მუსიკის საგანს;

„**დანყ.**“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„**1**“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

<b>მუსიკის სტანდარტი დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები)</b>		
<b>შედეგის ინდექსი</b>	<b>სტანდარტის შედეგები</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს:	<b>სამიზნე ცნება</b>
<b>მუს. დანყ.1.</b>	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;	<b>მუსიკა</b>
<b>მუს. დანყ.2.</b>	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარესამყაროზე საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბება/განვითარება;	
<b>მუს. დანყ.3.</b>	გარესამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის, გასააზრებლად;	
<b>მუს. დანყ.4.</b>	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ. პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნაში გარესამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად;	
<b>მუს. დანყ.5.</b>	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსაწერად ან ამბის გადმოსაცემად;	
<b>მუს. დანყ.6.</b>	მუსიკალური ელემენტების (მაგ, ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.	

## სამიზნე ცნება და ქვეცნებები

ცნება	ქვეცნებები
<b>მუსიკა</b>	<p><b>ბგერა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბგერის სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო);</li> <li>• ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები);</li> <li>• ბგერი სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი);</li> <li>• ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო);</li> <li>• სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა).</li> </ul> <p><b>რიტმი</b> (მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო);</p> <p><b>ტემპი</b> (ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი);</p> <p><b>მეტრი</b> (ძლიერი და სუსტი დრო).</p>
	<p><b>მელოდია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მელოდიის სახეობა (მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, მელოდია ნახტომებით);</li> <li>• <b>მელოდიის ხასიათი</b> (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.);</li> <li>• <b>მელოდიაში ინტონაციები</b> (ხმაბაძვითი ინტონაცია).</li> </ul>
	<p><b>ჰარმონია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია; არაკეთილხმოვანი (არასასიამოვნო) ჰარმონია; მაჟორი; მინორი; ქრომატიზმი;</li> <li>• <b>ინტერვალი</b> (დიდი დაშორების ინტერვალი, საშუალო დაშორების ინტერვალი, პატარა დაშორების ინტერვალი).</li> </ul>
	<p><b>ფორმა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფორმის სტრუქტურული ერთეულები (დასაწყისი, შუა ნაწილი, კულმინაცია, დასასრული);</li> <li>• კომპოზიცია.</li> </ul>
	<p><b>ჟანრი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბალეტი;</li> <li>• ოპერა;</li> <li>• მიუზიკლი;</li> <li>• კინომუსიკა;</li> <li>• თეატრალური მუსიკა.</li> </ul>



## სავალდებულო თემაები I-IV კლასებისთვის:

კლასი	თემა
I კლასი	სამყაროს ხმები მუსიკაში
	ყოფითი საგნები მუსიკაში
	თამაშები მუსიკაში
II კლასი	ცხოველები მუსიკაში
	ბუნების მოვლენები მუსიკაში
	წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ
III კლასი	ქალაქის/სოფლის ხმები
	მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში
	ჩემი ცხოვრების ერთი დღე
IV კლასი	მუსიკა და ტელევიზია
	მუსიკა და თავისუფალი დრო
	მუსიკა ანიმაციასა და საყმანვილო კინოში

### საკითხები:

თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეულ უნდა იქნას საკითხი, რომელიც უკავშირდება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

- მუსიკით აღწერა;
- მუსიკით თხრობა;
- მუსიკით ემოციის გადმოცემა;
- მუსიკით განწყობის შექმნა.

## III კლასი

თემა – ქალაქის/სოფლის ხმები
<p><b>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:</b></p> <p><b>მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გამოყენება ქალაქის/სოფლის კუთხის აღსაწერად; ქალაქთან/სოფელთან დაკავშირებული განწყობის გადმოსაცემად;</li> <li>• მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ქალაქის/სოფლის კუთხეები აღიწერება; ქალაქთან/სოფელთან დაკავშირებული განწყობა გადმოიცემა.</li> </ul>

<b>თემა – მუსიკალური გასეირნება ქალაქში</b>
<p><b>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:</b></p> <p><b>მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს;</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება ქალაქში/სოფელში გასეირნების შესახებ ამბის გადამოსაცემად;</li> <li>• მუსიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციის ქალაქში/სოფელში გასეირნების შესახებ ამბავი გადმოიცემა.</li> </ul>

<b>თემა – ჩემი ცხოვრების ერთი დღე</b>
<p><b>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:</b></p> <p><b>მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გამოყენება ცხოვრების ერთი დღის (განრიგის, მიღებული ემოციების, განწყობის) აღსაწერად;</li> <li>• მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციის ცხოვრების ერთი დღე (განრიგის, მიღებული ემოციების, განწყობის) აღინერება.</li> </ul>

## IV – მდგრადი განვითარება

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული თემები, მათ შორის ერთ-ერთია გარემოს დაცვა, რომლის მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლება ისევე წარმოადგენს სკოლებისა და მასწავლებლების ვალდებულებას, როგორც სწავლა-სწავლების საგნობრივ შედეგებზე მუშაობა.

ვფიქრობთ, ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ვასწავლოთ გარე სამყაროსადმი სწორი დამოკიდებულება, სწორედ ამიტომ სწავლების პირველ საფეხურზე ჩვენ მიერ დაგეგმილ მუსიკის გაკვეთლებზე არაერთხელ შევეხებით ცხოვლთა სამყაროს, ბუნებას (ტყე, მდინარე, ზღვა), მუსიკით გახმოვანებულ წელიწადის დროს. ეს მოსწავლეს საშუალებას მისცემს, რეალური ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით დაინახოს ნასწავლის მნიშვნელობა და მისი რეალიზების არეალი, ასევე სასწავლო გარემოშივე გამოამჟღავნოს ღირებულებები და დამოკიდებულებები, გამოიყენოს მიღებული ცოდნა და უნარები.

ზოგადად, ხელოვნებაში ბუნება აღტაცების, შთაგონების, აღწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ხელოვნები თავიანთ ქმნილებებში გამოხატავენ ბუნებისადმი განწყობა-დამოკიდებულებებს. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში მოზარდებს უნდა დავუხმაროთ ბუნების სილამაზისა და მისი მნიშვნელოვნების დანახვაში; ბავშვმა ადრეული ასაკიდან უნდა გააცნობიეროს, თუ როგორი აუცილებელია ეკოლოგიაზე ზრუნვა, გარემოს გაფრთხილება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების პრინციპები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის გრძნობის განვითარებას. მუსიკის გაკვეთილებისთვის ჩვენ მიერ დაგეგმილი და შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები გამჭოლად ინტეგრირებული მდგრადი განვითარების ისეთ თემებთან, როგორცაა: ბიომრავალფეროვნების დაცვა (რა ვიცი ხეების შესახებ? რა ვიცი ტყის შესახებ?), ნარჩენების მართვა (რა ზიანს აყენებს ნარჩენები ადამიანსა და გარემოს?), კლიმატის ცვლილება (რა არის ამინდი?) და სხვა.

## V – როგორ მოვახდინო ცოდნის კონსტრუირებას (აგებას)

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მასწავლებლებს ვთავაზობთ მრავალფეროვანი მეთოდებით დაგეგმილ გაკვეთილებს, აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის აგებაში, კონსტრუირებაში შეუწყობს ხელს.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. იგი აგებს ცოდნას მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამისად, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს, თავად ააგოს ცოდნა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეძლოს ამ ცოდნის გაანალიზება. ეს ყოველივე ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში **ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვებით მიიღწე-**

ვა – თითქმის ყველა აქტივობის მიმდინარეობის დროს/ბოლოს მასწავლებელს ვთავაზობთ შეკითხვებს, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს საკითხის გააზრებასა და საკუთარი დასკვნების გამოტანაში, ხოლო მასწავლებელი, თავის მხრივ, გაარკვევს, თუ რამდენად აითვისა, გაიგო ბავშვმა გადაცემული ცოდნა/ინფორმაცია.

სასურველია, მასწავლებელი გათავისუფლდეს რუტინისაგან და გამოიყენოს ისეთი სასწავლო მეთოდები, როგორებიცაა:

ვერბალური ინფორმაცია	სწავლების ვიზუალიზაცია	დისკუსია	ბექდვითი/ ელექტრონული ღონისძიებები
<p>ისტორიების შეთხზვა-მოყოლა;</p> <p>Storytelling;</p> <p>Case Study;</p> <p>როლების მიხედვით თამაში;</p> <p>სავარჯიშოების დროს ლექსების, სიმღერების გამოყენება;</p> <p>პრეზენტაცია/წარდგენა.</p>	<p>სურათები;</p> <p>თვალსაჩინო მასალა;</p> <p>ილუსტრაციები;</p> <p>ვიდეოფირები.</p>	<p>კითხვა-პასუხი;</p> <p>მსჯელობა;</p> <p>სხვისი ნააზრევის შეფასება.</p>	<p>პლაკატი;</p> <p>აფიშა;</p> <p>მუსიკალური კომპოზიციები.</p>

ა) **Storytelling** – ამბის მოყოლას ნიშნავს. ერთი მხრივ, ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენს ბავშვობაში სულ ხდებოდა და გვამახსოვრდებოდა. თუმცა, მუსიკის გაკვეთილზე უბრალო, მარტივ ამბებზე კი არა, ისეთ ამბებზე უნდა ვისაუბროთ ბავშვთან, რომელიც მას განუვითარებს თვითგამოხატვის – თავისი დამოკიდებულებების, ემოციის ახსნის, ინტერპრეტაციის – წარმოსახვის, აბსტრაქტული აზროვნების, ძველსა და ახალს შორის კავშირის დამყარების უნარებს; გაამდიდრებს მის ლექსიკას არა მხოლოდ მუსიკალური ცნებების გამოყენებით. **Storytelling** – ის საშუალებით მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ მუსიკალური ფრაგმენტების დახმარებით აღწერონ ის, რაც სიტყვით არის გადმოცემული. ამ მიზნით, მასწავლებელი შესთავაზებს პატარა მსმენელებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, ხოლო მოსწავლეები მუსიკის ელემენტების მიხედვით დაადგენენ შესაბამისობას ამ ფრაგმენტების სიტყვიერ ტექსტთან;

ბ) **Case Study** – ერთგვარი სიტუაციური ანალიზია, სიტუაციაში კი იკვეთება პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაჭრას ანალიზისა და გადანყვეტილების მიღების გზით. თუმცა, მუსიკაში პრობლემას მოვიაზრებთ მხატვრული ამოცანის კონტექსტში. მხატვრული ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ მუსიკა გამოვიყენოთ, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, უფრო ზუსტად, მსმენელმა გადმოსცეს მუსიკის მოსმენით მიღებული ემოციები, ასოციაციები, საკუთარი დამოკიდებულება მოსმენილთან მიმართებით. ამ და სხვა უნარებს კი მოსწავლე გამოავლენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის, შემდეგ კი წარდგენის (გასიტყვების) დროს, ვინაიდან კომპლექსური დავალება, სწორედაც, პრობლემაზე (მუსიკის შემთხვევაში მხატვრული ამოცანის განხორციელებაზე) არის ორიენტირებული.

## VI – რა შიგთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნიტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებითსა და აბსტრაქტულ დონეებს.

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: **პრესტრუქტურულს, უნიტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებითსა და აბსტრაქტულ დონეებს.**

თითოეული მათგანი წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს / სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. პირველ სამ დონეზე სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხების გააზრების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ცნების დაუფლება/შედეგის მიღწევა იგივედგება მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებთან.

<p><b>პრესტრუქტურული დონე</b></p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.</p>
<p><b>უნიტრუქტურული დონე</b></p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.</p>
<p><b>მულტისტრუქტურული დონე</b></p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.</p>
<p><b>მიმართებითი დონე</b></p> <p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება და გაანალიზება;</li> <li>• სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;</li> <li>• კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონტექსტუალიზება (საგნის სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირება);</li> <li>• მიმართებითი დონეზე საკითხის/სამიზნე ცნების გააზრება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაღვრული შედეგის მიღწევას. თუმცა, შესაძლებელია მოსწავლე უფრო შორსაც წავიდეს, ანუ იმ განზოგადებებისკენ, რომელიც აბსტრაქტული დონისთვისაა განსაზღვრული.</li> </ul>
<p><b>აბსტრაქტული დონე</b></p> <p>მოსწავლეს შეუძლია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების ეროვნული სასწავლო გეგმის <b>ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებებთან.</b></p>

**VIII – კომპლექსური დავალებები, აქტივობები, რეკომენდაციები**

თემა	კომპლექსური დავალების აღწერა
<p>I თავი ქალაქისა და სოფლის ხმები</p>	<p>№1. მუსიკალური ფრაგმენტებით სურათზე წარმოდგენილი თბილისის კუთხის აღმწერი კომპოზიციის შექმნა. <b>საკითხი:</b> მუსიკითა და ხმით ქალაქის კუთხის აღწერა.</p>
<p>II თავი მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში</p>	<p>№2. ხმის ეფექტებითა და მუსიკალური ფრაგმენტებით მუსიკალური მარშრუტის შექმნა და შეთავაზებული გეგმის მიხედვით მისი წარდგენა. <b>საკითხი:</b> მუსიკით გასეირნების მარშრუტის გაფორმება.</p>
<p>III თავი ჩემი ცხოვრების ერთი დღე</p>	<p>№ 3. ბედნიერი დღის მუსიკალური განრიგის შედგენა მოსმენილი ფრაგმენტების გამოყენებით. <b>საკითხი:</b> მუსიკით განწყობის გადმოცემა.</p>

# I თაპი

## თემა: ქალაქისა და სოფლის ხმები კომპლექსური დავალება №1 (აქტივობა 25-29)

(აღნიშნული დავალების შესრულებისა და წარდგენისათვის გამოიყოს  
4-5 საგაკვეთილო საათი)

კომპლექსური დავალების პირობა	გრძელვადიანი მიზნები
<p><b>საკითხი:</b> მუსიკითა და ხმებით ქალაქის კუთხის აღწერა.</p> <p><b>პირობა:</b> შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებით შექმენით ელენე ახვლედიანის სურათზე წარმოდგენილი თბილისის კუთხის აღმწერი მუსიკალური კომპოზიცია.</p> <p><b>პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ დაუკავშირეთ ქალაქის რაიმე კუთხის (ქუჩა, სკვერი და სხვა) დეტალები (მანქანა, ნაბიჯები, საუბარი) ხმებს და ხმაურს?</li> <li>როგორ შეურჩიეთ ქალაქის ცალკეული კუთხის ცალკეულ დეტალებს მუსიკალური ფრაგმენტი?</li> <li>როგორ აღწერეთ ქალაქის რომელიმე კუთხე?</li> <li>როგორ წარადგენთ თქვენ მიერ შექმნილ კომპოზიციას?</li> </ul> <p><b>დამხმარე რესუსი:</b> ე. ახვლედიანის ფერწერული ტილო; აუდიოფირები.</p>	<p><b>სამიზნე ცნება:</b> მუსიკა</p> <p><b>შედეგი:</b> მუს. დანყ. (I) 2,4,5.</p> <p><b>ქვეცნებები:</b></p> <p><b>ბგერა</b> – ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, ნკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა); <b>რიტმი</b> – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო); <b>ტემპი</b> – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი; <b>მეტრი</b> – ძლიერი და სუსტი დრო; <b>მელოდიის ხასიათი</b> – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); <b>მელოდიაში ინტონაციები</b> – ხმაბაძვითი ინტონაცია.</p> <p><b>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და ინვევს ჩვენში გარკვეულ განცდას;</li> <li>ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია;</li> <li>მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.</li> </ul>

## კომპლექსური დავალება №1

**პირობა:** შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებით შექმენით ელენე ახვლედიანის სურათზე წარმოდგენილი თბილისის კუთხის აღმწერი მუსიკალური კომპოზიცია.

**საკითხი:** მუსიკითა და ხმებით ქალაქის კუთხის აღწერა.



**ინსტრუქცია:**

• როგორ დავუკავშიროთ ქალაქის რაიმე კუთხის (ქუჩა, სკვერი და სხვა) დეტალები (მანქანა, ნაბიჯები, საუბარი) ხმებს და ხმაურს?

ა) ხმით, ხმაურით სურათის დეტალების ამოცნობა. ხაზებით დააკავშირეთ გაუღერებული ხმის ნომერი სათანადო სურათთან. ერთი აუდიო მაგალითი ზედმეტია.



1

2

3

4

5

• როგორ შევურჩიოთ ქალაქის ცალკეული კუთხის ცალკეულ დეტალებს მუსიკალური ფრაგმენტი?

ბ) დაუკავშირეთ მუსიკალური ფრაგმენტების ნომერი სათანადო სურათს:



1

2

3

4



გ) რომელი მუსიკალური ფრაგმენტი აღწერს ძველებურ სახლს და რომელი თანამედროვე კორპუსს? ხაზით დააკავშირეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი სათანადო სურათთან. ერთი მუსიკალური ფრაგმენტი ზედმეტია.



1


2

3



• როგორ აღწეროთ ქალაქის რომელიმე კუთხე?

- ა) მოიფიქრეთ, რომელი დეტალით დაიწყებთ ქალაქის კუთხის აღწერას და სიტყვა „დეტალი“ ქვეშ ჩაწერეთ მათი ნომერი;
- ბ) მოიფიქრეთ, რომელი დეტალით დაასრულებთ ქალაქის კუთხის აღწერას და ასევე ჩაწერეთ მისი ნომერი სათანადო ადგილას;
- გ) ე. ახვლედიანის ფერწერული ტილო მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ არსებობს გვერდიგვერდ ქალაქის წარსული და მისი მომავალი, რომელიც სხვადასხვა ნაგებობით არის წარმოდგენილი. გთავაზობთ, თქვენი კომპოზიცია დაიწყოთ ქალაქის წარსულის აღწერით და დაასრულოთ მისი მომავლის წარმოჩენით. ხოლო კომპოზიციის შუა ნაწილში (ოთხი დეტალი), თქვენი გემოვნებით, დაალაგეთ სურათის დეტალების აღმწერი მუსიკალური ფრაგმენტები. ამ მუსიკალური ფრაგმენტების ნომრები კომპოზიციის სქემატური გამოსახულების სათანადო უჯრაში ჩაწერეთ.



<b>აღწერა</b>	
ასრულებს დავალებას პირობის თანახმად - უკავშირებს ქალაქის კუთხის დეტალებს (მანქანა, ნაბიჯები, საუბარი, მტრედების გადაფრენა) ხმებსა და ხმაურს.	
შეურჩევს ქალაქის ცალკეული კუთხის დეტალებს (მანქანა, ნაბიჯები, საუბარი, მტრედების გადაფრენა) მუსიკალურ ფრაგმენტებს.	
ქალაქის კუთხის აღწერისას შეარჩევს თანმიმდევრობას/ქმნის კომპოზიციას.	
<b>ახსნა</b>	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეურჩია კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტი/ხმა/ხმაური კონკრეტულ დეტალს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, იყენებს სათანადო ლექსიკას).	
ხსნის, თუ რა მუსიკალური ხერხებით (რიტმი, მელოდია/ინტონაცია) მიიღწევა ესა თუ ის ქმედება.	
<b>შეფასება</b>	
აფასებს სურათის დეტალებზე წარმოდგენილ სიტუაციებს და ირჩევს თავისი სურვილისამებრ.	
სიტუაციების შეფასებისას შეარჩევს მისთვის სასურველ თანმიმდევრობას.	

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

I ეტაპი (კომპლექსური ავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)


	რა აქტივობებს განვხორციელებთ	რა კითხვებზე ვმუშაობთ?	რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?
<p><b>I ეტაპი</b></p> <p>კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა</p>	<p><b>მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა აგრეთვე ილუსტრირებული ცხრილის წარდგენა.</b></p> <p>თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, და აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას. მაგალითად, საწყის ეტაპზე მასწავლებელი გაესაუბრება კლასს, თუ რა ხმები შესაძლოა მოისმინონ ქალაქსა თუ სოფელში. შეუძლიათ შეძლებისდაგვარად გაახმოვანონ; მოასმენინოს და გამოაცნობინოს ქალაქში/სოფლად გაჟღერებული ხმები; განმეორებითი მოსმენის შემდეგ შესაძლებელია ამ ხმების დალაგება იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც გაჟღერდა</p> <p>(იხ. წინარე ცოდნის დამდგენი აქტივობა 1.); საეტაპო აქტივობებში კი თანდათან გართულდება შესასრულებელი დავალებების პირობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გიმუშავიათ მსგავს დავალებაზე?</li> <li>• გამოთქვით ვარაუდი, როგორ შეავსებთ ამ ცხრილს? როგორ შექმნით კოლაჟს?</li> <li>• რა ხმები მოგისმენიათ ქალაქსა თუ სოფელში?</li> <li>• როგორ მუსიკას შეურჩევდით გაჟღერებულ ხმებს?</li> </ul>	<p>კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს.</p>

## აქტივობა 1

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალბა 1); ავტომობილის, მტვერსასრუტის, თვითმფრინავის, მატარებლის ხმები.

სამუშაო რვეულში ათვალეებენ ნახატებს – ავტომობილი, მტვერსასრუტი, თვითმფრინავი, მატარებელი. მასწავლებელი ასმენინებს ხმებს და მოსწავლეებს სთხოვს თითოეულ სურათთან გამოყოფილ უჯრაში ჩანერონ გააფლერებული ხმის რიგითი ნომერი. საუბრობენ, რა ხმაა, სად შეიძლება ჟლერდეს ეს ხმა.

განმეორებით გააფლერებს ხმებს და კლასს სთხოვს, იმავე თანმიმდევრობით დაასახელონ მათ მიერ გამოცნობილი ხმები, როგორც მოისმინეს:




II ეტაპი
<b>ნაბიჯი 1.</b> როგორი ხმებითა და ხმაურით შეიძლება ქალაქის/სოფლის აღწერა (აქტ. 2-10);
<b>ნაბიჯი 2.</b> როგორ ამოვიცნოთ ქალაქის/სოფლის ხმები (აქტ. 11-17);
<b>ნაბიჯი 3.</b> როგორ ამოვიცნოთ ხმითა და მუსიკით ქალაქის სხვადასხვა კუთხე (აქტ. 18-25);
<b>ნაბიჯი 4.</b> კომპლექსური დავალების წარდგენა (აქტ. 26-30).

### აქტივობა 2-3

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალეა 2); ხმა-სემპლები (ფირი № 1,2,3, 4,5,6.)

**მასწ.** – შეგიძინევათ, რომ ქალაქს თავისი რიტმი აქვს, რომელიც სხვადასხვა ხმით მიიღწევა? იცით, რომ არსებობს ხმაურითა და ხმებით შექმნილი მუსიკალური კომპოზიცია?



მასწავლებელი ასმენინებს ხმებს და სთხოვს კლასს, გამოიცნონ, რა ხმებია. გაარჩევენ, გაანალიზებენ ხმებს ხმოვანების სიძლიერის, სიმაღლის, ხანგრძლივობის მიხედვით; სთხოვს, გამოსახონ სიმბოლოებით; დაბოლოს, წარადგინონ, განმარტონ, რატომ შეურჩიეს კონკრეტული სიმბოლო;

#### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:


- რომელი ხმა იყო წვრილი (მაღალი რეგისტრის)?
- რომელი ხმა იყო ბოხი (დაბალი რეგისტრის)?
- როგორი სიმბოლოთი გამოსახეთ ავტომობილის ხმა?

ა) წყვეტილი;

ბ) გაბმული.

• რომელი ხმა გაჟღერდა დასაწყისში წვრილი (მაღალი რეგისტრის) ხმით და შემდეგ დაბალი რეგისტრში მიჩუმდა?

**მასწ.** – დაკვირვებისხართ, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებას განსხვავებული სიგნალი აქვს? შეგიძლიათ, ამოიცნოთ ეს ხმები? მოუსმინეთ სხვადასხვა სიგნალს და აქ დახატულ სატრანსპორტო საშუალებებს (ავტომობილს, მატარებელს, სასწრაფო დახმარების მანქანას) რგოლში მიუწერეთ გაჟღერებული სიგნალის რიგითი ნომერი:



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელ სატრანსპორტო საშუალებას ჰქონდა წვრილხმოვანი სიგნალი? (მაღალი რეგისტრის) ხმით?
- რომელს ჰქონდა ბოხი (დაბალი რეგისტრის) ხმა?
- სად მოგისმენიათ ასეთი ხმები?
- განსხვავდება ეს ხმები ერთმანეთისგან? რით განსხვავდებიან?
- რომელი სიგნალი შეუსაბამეთ მსუბუქ ავტომობილს?
- რომელი სიგნალი გამოირჩევა წკრიალა ტემბრით?
- რომელ სიგნალს აქვს უხეში ტემბრი?
- რომელი სიგნალი მოგვიწოდებს: „ყურადღება, გზა!“

**კომენტარი:**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვებით მასწავლებელი ადგენს, თუ რამდენად გაიაზრეს კონკრეტული დავალება ბავშვებმა, ხოლო მეორე მხრივ, მოსწავლეები ამგვარი კითხვების დახმარებით ერთგვარად განაზოგადებენ საკითხს.

მოსწავლის სამუშაო რვეულში დავალებების ბოლოსაც განვათავსეთ ასეთი შეკითხვები. მოსწავლეებმა ზოგჯერ სპეციალურად გამოყოფილ ხაზებზე უნდა დაწერონ პასუხი.

**აქტივობა (შუალედური)<sup>1</sup>**

ტი - ტი - ტი - ტი ტაა      ტი - ტი - ტი - ტი ტაა

ბაგ - ბააგ      ბაგ - ბააგ      ბაგ - ბააგ

შეასრულეთ რიტმული ნახატები, რომლებიც მატარებლის მოძრაობას ასახავს.

<sup>1</sup> იმის გათვალისწინებით, რომ შესასრულებელ კომპლექსურ დავალებაში მუსიკის კომპონენტი რიტმული ხმებით/მუსიკით არის წარმოდგენილი, საეტაპო აქტივობებში მოსწავლეებს რიტმულ სავარჯიშოებსაც შევასრულებინებთ.

**აქტივობა 4**

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 3); მატარებლის ხმა; ა. ონეგერი – საორკესტრო პიესა „პასიფიკ 231“.

ა) მასწავლებელი ასმენებს კლასს მატარებლის ხმას. სთხოვს, გამოიცნონ, რომელი სატრანსპორტო საშუალების ხმა გაჟღერდა. დაახასიათონ ხმა სიმაღლის, სიძლიერის მიხედვით; ხმის მიხედვით გამოიცნონ, მატარებელი სწრაფად მოძრაობს თუ ნელა;

ბ) მასწავლებელი ფორტეპიანოზე დაუკრავს/მოასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, ამ სათაურების შესატყვის მოტივებს ერთიმეორის მიყოლებით და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ, რომელ მოტივს რომელი სათაური შეესაბამება – სამუშაო რვეულში ავსებენ ცხრილს. ვფიქრობთ, მოსწავლეებისთვის რთული არ იქნება მატარებლის მოძრაობის დანყების, სიჩქარის მატების, შემდეგ კი კლების ხმების მუსიკალური იმიტაციის ამოცნობა:



მატარებელი დაიდრა (ფირი 1)



მატარებელი სიჩქარეს უმატებს (ფირი 2)



მატარებელი სწრაფად მოძრაობს (ფირი 3)

მოტივის განმარტება	გაჟღერებული მოტივის ნომერი
მატარებელი სიჩქარეს უმატებს	<input type="radio"/>
მატარებელი დაიდრა	<input type="radio"/>
მატარებელი სწრაფად მოძრაობს	<input type="radio"/>

**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელ განმარტებას შეუსაბამეთ პირველ ნომრად გაჟღერებული მოტივი? რატომ?
  - რომელ მოტივში გაიჟღერა მატარებლის საყვირის გუგუნმა? ამ მომენტში მუსიკა (მატარებელი) სწრაფ ტემპში მოძრაობდა, საშუალო ტემპში თუ ნელ ტემპში?
  - რომელ მოტივში ჟღერდა მაღალი რეგისტრის და რომელში – დაბალი რეგისტრის ბგერები? რას გამოხატავს თითოეული მოტივი?
  - რომელ მოტივში შეიგრძნობა მიბაძვითი ინტონაციები? კერძოდ, რას ჰბაძავს ეს მოტივი?
  - განმეორებით მოისმინეთ და დააკვირდით, რა დროს გაჟღერდება მატარებლის საყვირის მიბაძვითი ინტონაციები – ინტონაციის გაჟღერებისას ხელის აწევით მიანიშნებდა.
- მასწავლებელი განმეორებით გააჟღერებს მოტივებს და სთხოვს ბავშვებს, ხელის აწევით ანიშონონ ნაცნობი მოტივის გაჟღერება.


**კომენტარი:**  
შესაძლოა, მოსწავლეებმა სწორად ვერ ამოიცნონ მოტივები, თუმცა, აქ მთავარია, დააკვირდნენ, მოისმინონ, იმსჯელონ.

**აქტივობა 5**


**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 4); სამი ავტომობილის სხვადასხვა სიმაღლის სიგნალები (ფირები №1,2,3)

მასწავლებელი ასმენინებს მსუბუქი ავტომობილების სხვადასხვა სიმაღლის სიგნალების სამ თანმიმდევრობას: I თანმიმდევრობა (აუდიოფაილი 1) – მაღალი-მაღალი-დაბალი; II თანმიმდევრობა (აუდიოფაილი 2) – დაბალი-მაღალი-დაბალი; III თანმიმდევრობა (აუდიოფაილი 3) – დაბალი-დაბალი-მაღალი.


ბმების შესაბამისი ნახატი ხაზებით უნდა დააკავშირონ აუდიოფრაგმენტის ნომერთან:



1-ელი სიგნალი



მე-2 სიგნალი



მე-3 სიგნალი



### **კომენტარი:**

მოსწავლეებმა აუდიომასალა უნდა მოისმინონ თანმიმდევრულად გარკვეული პაუზების დაცვით. მოსწავლე ჯერ მოისმენს პირველ ფრაგმენტს, დააკავშირებს სათანადო სურათს ხმის ნომერთან. შემდეგ მეორე ფრაგმენტს ასმენინებს და ა.შ. მოსწავლეებმა ეს დავალება უნდა შეასრულოს დამხმარე კითხვების გარეშე. სასურველია იმუშაონ უბრალო – გრაფიკის ფანქრით, ვინაიდან სამივე ფრაგმენტის მოსმენის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს აზრი და შეასწორონ დავალება, რისთვისაც დასჭირდებათ საშლელის გამოყენებაც.

დავალების შესრულების შემდეგ მოხდება საკუთარი ნამუშევრის გაანალიზება. მასწავლებელი გამოიყენებს კითხვებს, შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, შეძლებისდაგვარად გაახმოვანონ სამივე აუდიოფაილი და შესტებით განასახიერონ მოსმენილი ხმების სიმაღლეები.

### **სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- გამოიცანით რამდენი სხვადასხვა სიმაღლის ბგერა ჟღერდა?
- საყვირმა რა თანმიმდევრობით გააჟღერა ეს ბგერები?
- რატომ შეასრულეთ დავალება ამგვარად?

### **აქტივობა 6 (შუალედური დავალება)**

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 5). პროგრამა LMMS; სხვადასხვა სიმაღლის ხმა-სემპლები (მასწავლებელს თავადაც შეუძლია დაუმატოს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ხმებს სხვა რესურსი).

მოსწავლეებს ევალებათ მასწავლებლის მიერ გადაგზავნილი სხვადასხვა სიმაღლის სიგნალების ხმა-სემპლები, შეიტანონ პროგრამაში LMMS, განალაგონ ეს ხმები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს რაიმე მელოდია. ეს ბგერები შეუძლიათ გაიმეორონ იმდენჯერ, რამდენჯერაც დასჭირდებათ. შესრულებული კომპოზიცია წარუდგინონ კლასს.

### **კომენტარი:**

სამუშაო რვეულში აღნიშნული დავალების ინსტრუქციას დავურთეთ კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება შესრულებული დავალების წარდგენაში.

მოსწავლეებს მოუწევთ, აღწერონ განხორციელებული დავალება, ახსნან კომპოზიციის ფორმა/სტრუქტურა, იმსჯელონ თუ რატომ შეარჩიეს კონკრეტული ხმა-სემპლი; ბოლოსკი შეაფასონ საკუთარი კომპოზიცია, აგრეთვე ისაუბრონ, რამდენად გაართვეს თავი დავალების შესრულებას, რამდენად საინტერესო იყო ეს პროცესი.

## აქტივობა 7


**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 6); ბგერები და ხმები/ხმაური; რ. როჯერსის სიმღერა „დო, რე მი“ კ/ფილმიდან „მუსიკის ჰანგები“ (ფირები № 1,2,3,4, 5.)

### კომენტარი:

როგორც ცნობილია, **ზუსტი სიმაღლის** ბგერები ის ბგერებია, რომელთა გამღერებაც შესაძლებელია. მელოდია და ტრადიციული მუსიკის ნიმუშები ზუსტი სიმაღლის ბგერებისაგან აიგება. ამ აქტივობის მიზანია მოსწავლემ განასხვავოს ერთმანეთისგან ზუსტი სიმაღლის ბგერები და **ხმაური**, ამ უკანასკნელს არ გააჩნია ზუსტი სიმაღლე.

მასწავლებელი ასმენინებს ხმებს და სთხოვს ბავშვებს, დაადგინონ, რომელი მიეკუთვნება ზუსტი სიმაღლის ბგერას და რომელი – ხმაურს (ხმაურს არ გააჩნია ზუსტი სიმაღლე).

ზუსტი სიმაღლის ბგერის სიმბოლოდ წარმოდგენილია **ნოტი**, ხოლო ხმაურისთვის – ხმის სიხშირის განმსაზღვრელი ნიშანი. მოსმენის დროს სამუშაო რვეულში ხმების რიგითი ნომერი ხაზით უნდა დააკავშირონ ამ სიმბოლოებთან:



### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელ ფირში/ფირებში გაჟღერდა ზუსტი სიმაღლის ბგერები?
- როგორ ამოიცანით, რომ ამ ბგერებს აქვთ ზუსტი სიმაღლე?
- შეგიძლიათ გაიმღეროთ ამ ფრაგმენტიდან მოტივი?
- რომელ ფირში გაისმა ხმაური?
- რისი ხმები ამოიცანით?
- როგორი ხმები გაჟღერდა:
  - ა) მსხვრევის;
  - ბ) ხის ჩეხვის;
  - გ) ორივე.
- შეგიძლიათ ეს ხმები გაიმეოროთ, მიბაძოთ?


### კომენტარი:

მასწავლებელს შეუძლია მოასმენინოს/შეასწავლოს რ. როჯერსის სიმღერა „დო, რე მი“ კ/ფილმიდან „მუსიკის ჰანგები“ (იხ. ელექტრონულ რესურსში).


### აქტივობა 8-9

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალბა 7); ავტომობილების ძრავის ხმები (ფირი № 1,2,3, 4,5,6,7,8,9).

წინა სავარჯიშოში მოსწავლეებმა ზუსტი სიმაღლის ბგერები განასხვავეს ხმაურისაგან. ამჯერად მასწავლებელი მოასმენინებს სამი სხვადასხვა სიდიდის ავტომობილის ძრავის ხმებს, რომელთაც არ გააჩნიათ ზუსტი სიმაღლე, მაგრამ ამ ხმების სიმაღლეთა შორისაც არის განსხვავება. მოსწავლეებმა უნდა დაუკავშირონ ძრავის ხმები ფოტოებს და მოსმენილის რიგითი ნომერი ჩაწერონ შესაბამის რგოლში.




სამუშაო რვეულში მოსწავლეები დააკვირდებიან მანქანების ძრავების ხმების გამომსახველ სიმბოლოებს, რის შემდეგაც უნდა გამოთქვან ვარაუდები, რომელი მანქანის ძრავას რომელი სიმბოლო შეესაბამება და რატომ.



მასწავლებელი ასმენინებს ამ ხმებს (ფირები № 7,8,9) იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს სურათებზეა გამოსახული. არკვევენ, დაემთხვა თუ არა მოსწავლეების ვარაუდები მოსმენილი ხმების შესახებ.

**მასწ.** – თქვენ უკვე დაადგინეთ, თუ როგორ გამოისახებოდა მანქანების ძრავების ხმები. ახლა დააკვირდით განსხვავებულ სიმბოლოებს, შეადარეთ მოცემულ სიმბოლოებს და გამოთქვით ვარაუდი, რაზე მიგვანიშნებს ამგვარი განსხვავება.



ახლა კი მოისმინეთ ეს ხმები იმ თანმიმდევრობით (ფირები №4,5,6), როგორც ეს სურათებზეა გამოსახული.

გამოიტანეთ დასკვნა და დაასრულეთ წინადადებები:

**მოკლე ხაზი შეესაბამება \_\_\_\_\_ ბგერას და გრძელი ხაზი \_\_\_\_\_ ბგერას.**

ამრიგად, მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ბგერას აქვს თვისება, რომელსაც **გრძლიობა** ჰქვია.

ბგერის გამოსახატად ვიყენებთ სიმბოლოს, რომელსაც **ნოტი** ეწოდება. ნოტების საშუალებით სხვადასხვა გრძლიობას, სხვადასხვანაირად გამოვხატავთ:

**გრძლიობა – მუსიკალური ბგერის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა.**


**კომენტარი:**  
მოსწავლეებს აქ მხოლოდ სიმბოლოების სახით უნდა წარვუდგინოთ სხვადასხვა გრძლიობის ნოტები. არ არის სასურველი გრძლიობების გამოთვლის სქემის ჩვენება და შესწავლა.

დიდი გრძლიობის  
ნოტი უღერს დიდხანს  
(ხანგრძლივად)

პატარა გრძლიობის  
ნოტის უღერადობა კი  
ხანმოკლეა




მოსწავლეები დააკვირდნენ ნახატს, ხეების ზომის, მათი სიდიდის მიხედვით, სამწილად ზომაში შეასრულონ რიტმი:



**კომენტარი:** ბგერის/ხმის გრძლიობების გაგებისა და დამახსოვრების მიზნით, მასწავლებელს ვთავაზობთ ასეთ პირობით ნიშნებს:

- დიდი გრძლიობის ბგერა/ხმა გამოისახოს გრძელი ვერტიკალური სვეტიტით, ხოლო მოკლე გრძლიობისა – მოკლე ვერტიკალური სვეტიტით; დიდი გრძლიობა გამოისახოს შეუფერადებელი ოვალით, ხოლო მოკლე – შეუფერადებული ოვალით, მაგალითად:



- ოვალის ნაცვლად მუსიკალურ-პედაგოგიურ პრაქტიკაში ცნობილია რიტმო-მარცვლები „ტა-ა“ – ნახევარი გრძლიობის ნოტი, „ტა“ – მეოთხედი გრძლიობის, „ტი“ – მერვედი.

- გრძლიობები შეიძლება წარმოვადგინოთ აგრეთვე თანაბარი ნაბიჯებით: ერთი ნაბიჯის ტოლი –

ორი ნაბიჯის ტოლი –

ოთხი ნაბიჯის ტოლი –

- ნაბიჯს შეიძლება დავუროთოთ რიტმომარცვლებიც და მივიღებთ:

– ოთხ ნაბიჯს შეესაბამება ოთხი

მარცვალი „ტა“

– ოთხ ნაბიჯს შეესაბამება ორი გრძელი მარცვალი „ტა-ა“;

– ოთხ ნაბიჯს შეესაბამება ერთი გაგრძელებული მარცვალი „ტა-ა-ა-ა“ ა. შ.

### თამაში – „გასეირნება“

მოსწავლე დგამს თანაბარ ნაბიჯებს და წარმოთქვამს მარცვალს „ტა“ (შეუძლია დაუროთოს ტაში).

მასწავლებელი იმავდროულად ტაშს უკრავს მერვედებით და წარმოთქვამს მარცვლებს „ტი-ტი“.

## აქტივობა 10

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 8); ქალაქის/სოფლის ხმები (ფირი № 1,2,3.).

ა) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სამუშაო რვეულში დაათვალიერონ სურათები, სადაც ასახულია ქალაქის სხვადასხვა ადგილი, სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი, რა ადგილებია და როგორი ხმები შეიძლება ისმოდეს იქ?



ბ) მასწავლებელი ასმენინებს სამ აუდიოფირს და სთხოვს კლასს, მონიშნონ ქალაქის ან სოფლის ის კუთხე, სადაც შეიძლება ისმოდეს ეს ხმა:

### ფრაგმენტი N1

- ქალაქის მთავარი მოედანი
- პარკი
- სოფლის ეზო
- მშვიდი ქუჩა

### ფრაგმენტი N2

- ქალაქის მთავარი მოედანი
- პარკი
- სოფლის ეზო
- მშვიდი ქუჩა

### ფრაგმენტი N3

- ქალაქის მთავარი მოედანი
- პარკი
- სოფლის ეზო
- მშვიდი ქუჩა

### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- პირველად გაჟღერებული ხმა ქალაქის ან სოფლის რომელ კუთხეს შეუსაბამეთ?
- რატომ თვლით, რომ გაჟღერებული ხმა სოფლის ეზოში ისმის ხოლმე?
- აღწერეთ, რა ხმებით გამოარჩიეთ სოფლის ეზო?
- კიდევ რა ხმები შეიძლება მოვისმინოთ სოფელში?
- რომელ ფრაგმენტში ამოიცანით ქალაქის მთავარი მოედანი, რგოლში ჩანერეთ ფირის ნომერი;
- კონკრეტულად რა ხმები გაჟღერდა ამ ფირში?
- რომელი ხმა არ გაჟღერებულა?


## აქტივობა 11

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 9); საკონცერტო დარბაზის ხმები (ფირი № 1,2,3,4) ლ. ანდერსონი – სამეჯლისო მუსიკა.

**მასწ.** – იცით რა არის კონცერტი? ყოფილხართ კონცერტზე? როგორი მუსიკა უღერდა იმ კონცერტზე – ხალხური თუ პროფესიული, კომპოზიტორის მიერ შექმნილი?

როგორ ფიქრობთ, კონცერტზე მისული მსმენელი რა თანმიმდევრობით მოისმენს ხმებს? დაალაგეთ ეს განმარტებები თანმიმდევრულად – რგოლში ჩანერეთ რიგითი ნიშანი.

ახლა კი მოისმინეთ ხმები და დაუკავშირეთ განმარტებებს:



### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი ხმების მოსმენა უნევს კონცერტზე მისულ მსმენელს?
- თქვენი აზრით, მოსმენილ ხმათაგან, რა შემთხვევაში გაუღერდა ზუსტი სიმაღლის ბგერები? ხმაური?
  - კონცერტზე მისულმა მსმენელმა როგორ მუსიკას მოუსმინა, საცეკვაოს თუ მარშისებურს?
  - როგორ ფიქრობთ, მსმენელს მოეწონა კონცერტზე შესრულებული მუსიკა? როგორ მიხვდით?
  - მოსმენილთაგან, რომელი ხმა უღერდა ხმამაღალი შედახილებით? როგორ ფიქრობთ, რისი გამომხატველია შედახილები „ბრავო!“ „ბის!“
  - როგორი მიმიკით, ჟესტითა და ხმის ინტონაციით წარმოითქმება ეს შედახილები? გაახმოვანეთ და განასახიერეთ;
  - რომელ რიტმულ ნახატს დაუკავშირებდით შედახილს „ბრავოო!“?

— —————

თუ

————— —




**აქტივობა 12-14**

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 10).

მოსწავლეებმა აღწერონ, რა სახის საქმიანობით არიან დაკავებულნი ბავშვები და უფროსები, როგორ უკავშირდება მუსიკა მათ ყოველდღიურ ყოფას.

**I.** ამ სურათებზე წარმოდგენილია შორეული აფრიკის ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებლები. დააკვირდით და გამოიცანით, რა საქმიანობით არიან ისინი დაკავებული?

ცხრილის **პირველ სვეტში** მოცემულია საქმიანობის აღწერა, ხოლო **მეორე სვეტში** – სურათები. **სურათების გვერდით განთავსებულ უჯრებს** შეავსებენ მას შემდეგ, რაც მოისმენენ თითოეული საქმიანობის ამსახველ ხმებს. ერთ-ერთი სწორი პასუხი მოცემულია ნიმუშის სახით.






საქმიანობის აღწერა	სურათები
თავისუფალ დროს ქალები ერთობიან.	
ქალი საცერით ბურღულეულს სცრის.	
ბავშვები გრძელი ჯოხებით ფქვავენ ბურღულეულს.	



8





<p>სოფლის მოსახლეობა ერთობა.</p>	
<p>ბავშვები მდინარის ნაპირზე სხვადასხვა ყოფითი საგნით რიტმს ასრულებენ, ერთობიან.</p>	
<p>მჭედელი შრომის იარაღს ქედავს.</p>	
<p>ქალები მდინარეზე სარეცხს რეცხავენ.</p>	
<p>ცეკვავენ გოგო-ბიჭები.</p>	

## II.

მასწავლებელი ბუკებში გადაუგზავნის/მოასმენინებს ფირებს, მოსწავლეები კი მოუსმენენ და ფირის ნომერს და მის შესატყვის საქმიანობას დააღაგებენ თანმიმდევრობით – დილიდან საღამომდე.

ამისათვის ავსებენ ცხრილს, სადაც უნდა დაახარისხონ სურათები (ჩანერონ მათი სახელწოდებები), დღის რომელ ნაწილში სრულდება ეს საქმიანობები (სურათის აღწერა ჩანერონ შესაბამის გრაფაში):

დილა	შუადღე	საღამო
<p>საქმიანობა</p> <div style="border: 1px solid gray; padding: 5px; width: 80px; margin: 10px auto;">ფირი №</div> <div style="border: 1px solid gray; padding: 5px; width: 80px; margin: 10px auto;">ფირი №</div>	<p>საქმიანობა</p> <div style="border: 1px solid gray; padding: 5px; width: 80px; margin: 10px auto;">ფირი №</div> <div style="border: 1px solid gray; padding: 5px; width: 80px; margin: 10px auto;">ფირი №</div>	<p>საქმიანობა</p> <div style="border: 1px solid gray; padding: 5px; width: 80px; margin: 10px auto;">ფირი №</div> <div style="border: 1px solid gray; padding: 5px; width: 80px; margin: 10px auto;">ფირი №</div>

### აქტივობა 15-16

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 11); ხმები: თოხი; ურმის ჭრიალი; „თოხნური“ – ხალხური; „რაშოვდა“ – ხალხური; „ნანა“ – ხალხური; მ. მუსორგსკი – „ურემი“ (ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“).

**მასწ.** – სოფლის ხმებიც მოვისმინოთ. ჩვენი მეგზური გლეხი იქნება. გლეხი – სოფელში მინასთან მომუშავე ადამიანია. მისი ყოველი დღე შრომაში გადის – დილაუთენია, ვიდრე მზე ძლიერად დააჭერს სხივებს, შეუდგება იგი მუშაობას, შუადღით შეისვენებს, შემდეგ კვლავ გააგრძელებს.

მოისმინეთ ხმები და განსაზღვრეთ, რომელი ხმა რომელ ნახატს შეესაბამება. რგოლებში ჩანერეთ გაჟღერებული ხმის ნომერი.




**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელი ხმა არ გაჟღერებულა?
- როგორ უნდა ჟღერდეს ეს ხმა, შეგიძლიათ გაახმოვანოთ?
- მოსმენილთაგან, რომელ ხმაში შეიგრძენით რიტმი?
- ეს რიტმი თანაბარი და ერთგვაროვანია თუ ცვალებადი?
- რომელ სურათს დაუკავშირეთ ეს ხმა?

ასმენინებს მუსიკალურ კოლაჟს და სთხოვს მოსწავლეებს განსაზღვრონ, რა თანმიმდევრობით არის დალაგებული ფრაგმენტები. ქვემოთ ჩამოთვლილი განმარტებები გადანერონ რგოლებში საათის ისრის მიმართულებით:

ა) გლეხის მუსიკალური პორტრეტი
ბ) მძიმედ მოგორავს ტვირთით სავსე ურემი
გ) სათოხარში თანასოფლელებთან ერთად სახალისოა შრომა
დ) დაიძინე, ჩემო შვილო
ე) მძიმე შრომის შემდგომ გართობა და დასვენებაა საჭირო



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**


- რა თანმიმდევრობით ჩაწერეთ ეს განმარტებები? რას დაეყრდენით?
- როგორია გლეხი, მხიარული თუ მონყენილი?
- მუსიკით როგორ არის გადმოცემული გლეხის მხიარული ხასიათი?

- აღწერეთ გლეხის მუსიკალური პორტრეტი (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა):
  - ა) მელოდიაში დაბალი რეგისტრის ბგერები ჟღერს;
  - ბ) მელოდიაში მაღალი რეგისტრის ბგერები ჟღერს;
  - გ) მოძრავი, ენერგიული რიტმი აქვს;
  - დ) მშვიდი რიტმი აქვს;
  - ე) გლეხი დიდი ნაბიჯებით მოძრაობს;
  - ვ) იგი მოკლე ნაბიჯებით მოძრაობს.
- რომელ ფრაგმენტში შეიგრძენით უშუალოდ შრომის პროცესი?
- გლეხი მარტო ასრულებს სიმღერას თუ მეზობლებიც შეუერთდნენ?
- თქვენი აზრით, გლეხი, როდესაც მიწას თოხნის, რატომ მღერის? რაში ეხმარება მას სიმღერა?
- რომელ ნომრად მონიშნეთ ბავშვის დასაძინებელი მუსიკა?
- რამ მიგანიშნათ, რომ ეს მუსიკა ერთგვარი „ნანა“ იქნება, ბავშვის დასაძინებელი მელოდია?
- აღწერეთ ეს მელოდია, ისაუბრეთ მუსიკის ტემპზე, მელოდიაზე, რიტმზე, განწყობილებაზე;
- დღის რომელ ნაწილში უმღერს დედა პატარას „ნანას“?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი აღწერდა ხარკამეჩმებმული ურმის მოძრაობას?
- ურემი სწრაფად მოძრაობს თუ მძიმედ, ნელა?
- რომელი რეგისტრის ბგერები ჭარბობს ამ მუსიკაში?
- რას გვიამბობს ეს მუსიკა:
  - ა) გლეხიკაცი ჩაძირულია თავის ფიქრებში;
  - ბ) გლეხს სახლში მიეჩქარება.
- როგორ ისვენებს შრომით მოქანცული გლეხიკაცი? რომელი ფრაგმენტი გადმოგვცემს გართობასა და მხიარულებას?
- ამ სიმღერაში მუსიკის რომელი გამომსახველი საშუალება არის ყველაზე მეტად გამოკვეთილი: რიტმი თუ მელოდია?
- გასართობ სიმღერას ერთი ხმა ასრულებს თუ ბევრი?
- მაღალი რეგისტრის ბგერებს ქალის ხმა გამოსცემს თუ მამაკაცის?
- მხოლოდ მაღალი რეგისტრის ბგერები ჟღერს სიმღერაში „რაშოვდა“ თუ დაბალი რეგისტრის ბგერებიც (ბანი)?

## აქტივობა 17

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 12); მუსიკალური ფირები № 1,2,3,4,5,6.

1. ყოველ ქალაქს აქვს თავისი ისტორია. თქვენ წინაშეა ძველი ქალაქის სურათი. შეძლებთ მოცემული აუდიო მაგალითებიდან შეარჩიოთ ის მაგალითი, რომელშიც ძველი თბილისის ხმებია? მოისმინეთ აუდიო მაგალითები ფანქრით ძველი თბილისის სურათს დაუკავშირეთ.



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**


- ის ხმები, რომლებიც არ დაუკავშირეთ სურათს, რისი ხმებია? ეს ძველი ქალაქის ხმებია?
- ჩამოთვალეთ ძველი თბილისის სურათიდან რომელი ხმები გაჟღერდა?

## აქტივობა 18-19

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 13); ფირები № 1,2,3,4.

**მასწ.** – თუ როგორი იყო ქალაქი ძველ დროს და როგორია ახლა, ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა შენობის მიხედვით ამოვიცნოთ. ყველა ქალაქს აქვს ძველი და ახალი უბნები.

თქვენ წინაშეა თბილისის უძველესი, შედარებით ახალი და უახლესი უბნების სურათები. მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს და ჩანერეთ რგოლებში იმ ფრაგმენტის ნომერი, რომელიც, თქვენი აზრით, ესადაგება ამ სურათებში ასახულ თბილისის უბნებს.



### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი ფრაგმენტი ჟღერს ყველაზე ხმამაღლა? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

№1

№2

№3

- რომელ ფრაგმენტში ჟღერს ელექტრონული ბგერები? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

№1

№2

№3

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში ჟღერს მკაფიოდ ერთი ინსტრუმენტი? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

№1

№2

№3

- რომელ მუსიკალური ფრაგმენტს დაუკავშირებდით ყველაზე მაღალ შენობას? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და შემოხაზეთ:

- მუსიკალურ ფრაგმენტს, რომლიც ყველაზე ხმამაღლა ჟღერს;
- მუსიკალურ ფრაგმენტს, სადაც მკაფიოდ ჟღერს ერთი ინსტრუმენტი;
- მუსიკალური ფრაგმენტს, სადაც ჟღერს ელექტრონული ბგერები.

- რატომ დაუკავშირებდით ასეთ მუსიკალურ ფრაგმენტს ყველაზე მაღალ შენობას? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და შემოხაზეთ:

- რადგან მაღალი სახლი ყველაზე საინტერესო და ლამაზია;
- რადგან მისი სიმაღლის სხვა სახლი არ არის და სხვებისგან მკვეთრად გამოირჩევა;
- რადგან მაღალი სახლი ყველაზე უცნაურად გამოიყურება.

მასწავლებელი ასმენინებს კლარნეტის, საყვირისა და ფლეიტის ხმებს, რის შემდეგაც განმეორებით ასმენინებს სამ ფრაგმენტს, რათა ერთ-ერთში ამოიცნონ საყვირის ტემბრით შესრულებული ფრაგმენტი.

**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელ ფრაგმენტში ჟღერს საყვირების ხმა? ხაზით დააკავშირეთ ინსტრუმენტის სურათი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს



კლარნეტი

1



ფლეიტა

2



საყვირი

3

- რომელ ფრაგმენტში ისმის ამ ინსტრუმენტის მსგავსი ბგერა? დააკავშირეთ ინსტრუმენტი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს.

1

2

3



ვიბრაფონი

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს დაუკავშირეთ ძველი თბილისის უბანი? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და შემოხაზეთ:

- ა) მუსიკალური ფრაგმენტი სადაც ისმის მრავალი საყვირის ხმა;
- ბ) მუსიკალური ფრაგმენტი, სადაც მკაფიოდ ისმის კლარნეტის ხმა;
- გ) მუსიკალური ფრაგმენტის სადაც სინთეზური ბგერები ვიბრაფონის ბგერას ჰგავს;

- ა) სხვა; (ახსენით თქვენი სიტყვებით)

- რატომ დაუკავშირეთ ეს ფრაგმენტი ძველი თბილისის უბანს? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და შემოხაზეთ:

- ა) რადგან მუსიკალური ფრაგმენტის ჟღერადობა ძველებური სახლების სიკოცტავზე მიუთითებს;

ბ) რადგან მუსიკალურ ფრაგმენტში გაჟღერებული ინსტრუმენტის ხმა ძველებურ ხალხურ ინსტრუმენტს მაგონებს, რომელიც ძველ ქალაქს უხდება;

გ) რადგან მუსიკალურ ფრაგმენტში ერთად გაჟღერებული ბევრი ინსტრუმენტი მიუთითებს იმაზე, რომ სახლს მრავალი კიბე და აივანი აქვს;

დ) სხვა (ახსენით თქვენი სიტყვებით).

## აქტივობა 20

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 14); მუსიკალური ფირები № 1,2,3, 4.

ა) ჩვენ შევეცადეთ მუსიკით ქალაქის ძველი და ახალი უბნები აღგვეწერა. თუმცა, სურათებზე მხოლოდ სახლები თუ ჩანდა. ქალაქის კუთხეს არა მხოლოდ სახლები წარმოადგენს. ქალაქის კუთხის კარგად აღსაწერად ბევრი სხვადასხვა დეტალის დანახვა და მათი წარმოჩენაა საჭირო. თქვენ წინაშეა რამდენიმე დეტალი მხატვარი ჯ. ვეფხვაძის მიერ ძველი თბილისის მოტივებზე შექმნილი სურათიდან. რომელ ხმას დაუკავშირებდით ამ დეტალებს?

ახლა მოუსმინეთ ამ დეტალების მუსიკალური ხერხებით აღწერას და შეაერთეთ ხაზებით ამ მუსიკალური აღწერის ნომრები აქ მოცემულ სურათების დეტალებს.



1



2



3

### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

• რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში ისმის ყველაზე მღერადი მელოდია? აირჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი და შემოხაზეთ.

N1

N2

N3

• რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში გადმოსცემს რიტმი ნაბიჯებს? აირჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი და შემოხაზეთ.

N1

N2

N3



- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია ყველაზე მოძრავი რიტმი? აირჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი და შემოხაზეთ.

N1

N2

N3

- როგორ ფიქრობთ, დეტალზე წარმოდგენილი ორი მამაკაცი საუბრობს, თუ კამათობს?

- თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გადმოსცემს ამას? (დაასახელეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი)

- რატომ ფიქრობთ ასე? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი:

- ა) ფრაგმენტში მოძრავი რიტმია, რომელიც კამათის დროს სწრაფ ლაპარაკს გადმოსცემს;

- ბ) ფრაგმენტში მღერადი მელოდიაა, რომელიც კეთილგანწყობილ, მშვიდ ლაპარაკს ჰგავს.

- მოუსმინეთ სამ ჩასაბერ ინსტრუმენტს. მათ ხის ჩასაბერ ინსტრუმენტებად მოიხსენიებენ. თქვენი აზრით, რომელი ინსტრუმენტებით იქნება უკეთესი ორი ქალის საუბრის გადმოცემა?



ფლეიტა



ფაგოტი

- რის მიხედვით შეურჩიეთ ეს ინსტრუმენტი ქალების საუბარს? შეარჩიეთ სწორი პასუხი და შემოხაზეთ.

- ა) მელოდიის მიხედვით;

- ბ) რიტმის მიხედვით;

- გ) ხმის/ბგერის მიხედვით.

- რატომ შეურჩიეთ ეს ინსტრუმენტი ქალების საუბარს? პასუხი ახსენით თქვენი სიტყვებით.

- რომელ ფრაგმენტში ჟღერს ეს ინსტრუმენტი? შემოხაზეთ სწორი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

N1

N2

N3

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში ჰბაძავს ინსტრუმენტი ვირის ყროყინს? შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს

N1

N2

N3



## სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- ვინ იპოვის პირველი, რომელ ოთხკუდხედშია პირველ ნომრად გაჟღერებული მუსიკალური ფრაგმენტის დეტალი? დაასახელეთ ოთხკუთხედის ნომერი.
- ვინ იპოვის პირველი, რომელ ოთხკუდხედშია მეორე ნომრად გაჟღერებული მუსიკალური ფრაგმენტის დეტალი?
- ვინ იპოვის პირველი, რომელ ოთხკუდხედშია მესამე ნომრად გაჟღერებული მუსიკალური ფრაგმენტის დეტალი?

II. მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს (ფირი 4, 5, 6) და ამ სამი ფრაგმენტიდან ერთი შეურჩიეთ ამ სურათს. შერჩევის დროს გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ძველი ქალაქია თუ ახალი ამ სურათზე გამოსახული?
- ხმაურიანია, თუ მყუდროა ეს ქუჩა?
- კარგი თუ ცუდი ამინდია?
- ჩქარობს ხალხი სადმე, თუ მშვიდად დადის?

### შეასრულეთ დავალება შემდეგნაირად:

1. შემოხაზეთ იმ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი, რომელიც სურათს შეურჩიეთ;
2. ორი დარჩენილი მუსიკალური ფრაგმენტის ნომრებს ხაზებით დაუკავშირეთ ქვემოთ მოცემული დახასიათებები (შეიძლება რამდენიმე დახასიათება ერთ რომელიმე ნომერს დაუკავშიროთ)

1

2

3

ა)

ვერ გადმოსცემს სურათზე  
ასახულ ამინდს

ბ)

ვერ გადმოსცემს სურათზე  
ასახული ძველი ქალაქის იერს

გ)

ვერ გადმოსცემს სურათზე  
ასახული ქალაქის მშვიდ,  
მოზომილ ცხოვრებას

დ)

ვერ გადმოსცემს სურათზე  
ასახული ქალაქის კუთხის  
ხმაურს

III. გამოიცანით, რომელი ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლებია. თითოეული მახასიათებლის აღწერის გასწვრივ ცარიელ უჯრაში ჩანერეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი (შეიძლება რამდენიმე დახასიათება ერთ რომელიმე ნომერს დაუკავშიროთ):

ერთი ინსტრუმენტით გაჟღერებული ნაღვლიანი მელოდია ულიმლამო ამინდის სურათს ქმნის	<input type="checkbox"/>
ერთად გაჟღერებული რამდენიმე საყვირის ხმა თანამედროვე ქალაქის ხმაურს გადმოსცემს	<input type="checkbox"/>
დასარტყამი ინსტრუმენტებით გადმოცემული რიტმი თანამედროვე ქალაქის ენერგიული ცხოვრების სტილს გადმოსცემს	<input type="checkbox"/>
ჯაზური ჰარმონია თანამედროვე ქალაქში ცხოვრების სილალეს გადმოსცემს	<input type="checkbox"/>
მარტივი, მხიარული მელოდია და ძველებური ცეკვის რიტმი ძველი თბილისის იერს გადმოსცემს	<input type="checkbox"/>

**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელი ფირი შეუსაბამეთ ერთდროულად რამდენიმე მუსიკალური მახასიათებლის აღწერას?
- როგორია ამ მუსიკის რიტმი?
- რომელი საკრავების ტემბრი გამოარჩიეთ ამ მუსიკალურ ფრაგმენტში?
- თანამედროვე ქალაქს აღწერს ეს მუსიკა თუ ძველს?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეუსაბამეთ ძველ ქალაქს?
- აღწერეთ ამ ფრაგმენტის მელოდია.
- მუსიკის რომელი გამომსახველი ელემენტით (მელოდია, რიტმი, ჰარმონია) გამოირჩევა ფირი, რომელიც ულიმლამო ამინდის აღწერას ემსახურება?

## აქტივობა 24

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 17); ფირი № 1.

თქვენ წინაშეა სურათების თანმიმდევრობის ორი მაგალითი. მოუსმინეთ თბილისური კუთხის აღმწერ კომპოზიციას, რომელიც წინა აქტივობებში გააღწერებული მუსიკალური ფრაგმენტებისგან არის შედგენილი. დააკვირდით, რა თანმიმდევრობით უღერს ეს მუსიკალური ფრაგმენტები კომპოზიციაში და ამოიცანით ეს თანმიმდევრობა მოცემულ მაგალითებში.

ა) 

ბ) 

**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

• როგორ ფიქრობთ, ქალაქის კუთხის როგორი ხასიათის აღწერა გამოგვივიდა? შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.

ა) სევდიანი;

ბ) სადღესასწაულო

გ) სახუმარო;

დ) სხვა \_\_\_\_\_

**II თავი – ქალაქში/სოფელში გასაქირნება**  
**კომპლექსური დავალება №2 (აქტივობა 44-48)**

კომპლექსური დავალების პირობა	გრძელვადიანი მიზნები
<p><b>საკითხი:</b> მუსიკით გასაქირნების მარშრუტის გაფორმება.</p> <p><b>პირობა:</b></p> <p>თქვენ წინაშეა ორი მარშრუტის სქემა, რომელიც პატარა სოფელში გასაქირნებას გათავაზობთ. თითოეული მარშრუტი სხვადასხვა ობიექტებს განსხვავებული თანმიმდევრობით გათავაზობთ.</p> <p>აირჩიეთ ერთ-ერთი მარშრუტი, შეურჩიეთ მარშრუტით გათვალისწინებულ ობიექტებს შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტები. დააღაგეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტები კომპოზიცი-აში იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ეს ობიექტები არის ამ მარშრუტში წარმოდგენილი. ყოველი ობიექტის შესატყვისი მუსიკალური ფრაგმენტის გაუღერებამდე, ბავშვის/ქალი/მამაკაცის „საქირნობის“ ამსახველი მუსიკალური ფრაგმენტი უნდა დაურთოთ, რათა მუსიკალური მარშრუტის კომპოზიციამ რონდოს ფორმა მიიღოს.</p> <p>შექმნილი მუსიკალური ფორმა, სახელწოდებით „ჩემი მუსიკალური მარშრუტი“ წარუდგინეთ თანაკლასელებს. წარდგენა კი შემდეგი გეგმით განახორციელეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ შევურჩიე თითოეულ ქვეითს მუსიკალური დახასიათება. რომელი ქვეითი ამოვარჩიე მარშრუტისთვის და რატომ?</li> <li>• როგორ შევურჩიე მარშრუტის ობიექტებს (თითოეულ პუნქტს) მუსიკალური ფრაგმენტი?</li> <li>• როგორ ამოვიცნო მუსიკალურ კომპოზი-ციასა და სათანადო მარშრუტი?</li> </ul> <p><b>დამხმარე რესურსი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ო. რესპიგი - „რომის ფიჭვები“ – „ვილა ბორგეზე“ - შადრევნის იმიტაცია;</li> <li>• ჰ.ვილა-ლობოსი - „კომპოსტოს მზიდავი პატარა მატარებელი“ მატარებლის იმიტაცია;</li> <li>• ი. ფურჩიკი - ცირკის მუსიკა ;</li> <li>• ლ. ჰუმანოიდი - ბიჭი და მისი ველოსიპედი;</li> <li>• ლ. ჰუმანოიდი - ავტომობილის მუსიკა;</li> <li>• საეკლესიო ზარები;</li> <li>• ლ. ანდერსონი - „ცხენი“;</li> <li>• სკოლის ზარი;</li> <li>• ტყის ხმები;</li> <li>• ჩემი სახლი - რეფრენი.</li> </ul>	<p><b>სამიზნე ცნება:</b> მუსიკა</p> <p><b>შედეგი:</b> მუს. დანყ. (I) 2,4,5.</p> <p><b>ქვეცნებები:</b></p> <p><b>ბგერა</b> - ბგერის სიძლიერე (ხმამალალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა); <b>რიტმი</b> - მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო); <b>ტემპი</b> - ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი; <b>მეტრი</b> - ძლიერი და სუსტი დრო; <b>მელოდიის ხასიათი</b> - იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); <b>მელოდიაში ინტონაციები</b> - ხმაბაძვითი ინტონაცია.</p> <p><b>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და ინვეს ჩვენში გარკვეულ განცდას;</li> <li>• ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია;</li> <li>• მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.</li> </ul>

**პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები**

**I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)**

	<b>რა აქტივობებს განვახორციელებთ</b>	<b>რა კითხვებზე ვმუშაობთ?</b>	<b>რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?</b>
<p><b>I ეტაპი</b></p> <p>კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა</p>	<p><b>მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.</b></p> <p>თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, და აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე აქტივობას. მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიაზროს თუ როგორ უნდა შექმნას მარშრუტი და როგორ უნდა გააფორმოს სხვადასხვა ობიექტი მუსიკალურად, გამართავს მოკლე დიალოგს, რომლის დროს მოსწავლეები ისაუბრებენ იმ მარშრუტზე, რომელსაც ისინი გადაიან სახლიდან სკოლამდე. ისაუბრებენ იმ ობიექტებზე, რომლებიც გზად ხვდებათ, იმ ხმებზე, რომლებიც იქ ისმის (იხ. აქტივობა 27).</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რა არის ასახული კომპლექსური დავალების პირობაში?</li> <li>• თქვენი აზრით, როგორ უნდა იმუშაოთ ამ დავალებაზე?</li> <li>• როგორია მარშრუტი, რომელსაც თქვენ გადაიხართ სახლიდან სკოლამდე? სახლიდან პარკამდე?...</li> <li>• როგორ მუსიკას შეურჩევთ იმ ობიექტს, რომელიც გზად გხვდებათ?</li> </ul>	<p>კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის, მარტივიდან რთულისაკენ, გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დაეხმარება, ვინაიდან ეს გაკვეთილები იქნება პატარების პირველი გააზრებული შეხება მუსიკასთან/ხმებთან.</p>

**საკითხი:** გასეირნების მარშრუტის მუსიკით გაფორმება

**პირობა:**

თქვენ წინაშეა ორი მარშრუტის სქემა, რომელიც პატარა სოფელში გასეირნებას გთავაზობთ. თითოეულ მარშრუტს სხვადასხვა ობიექტებს განსხვავებული თანმიმდევრობით გთავაზობთ.

აირჩიეთ ერთ-ერთი მარშრუტი, შეურჩიეთ მარშრუტით გათვალისწინებულ ობიექტებს შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტები. დაალაგეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტები კომპოზიციაში იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ეს ობიექტები არის ამ მარშრუტში წარმოდგენილი. ყოველი ობიექტის შესატყვისი მუსიკალური ფრაგმენტის გაჟღერებამდე, ბავშვის/ქალი/მამაკაცის „სეირნობის“ ამსახველი მუსი-

კალური ფრაგმენტი უნდა დაურთოთ, რათა მუსიკალური მარშრუტის კომპოზიციამ რონდოს ფორმა მიიღოს.

შექმნილი მუსიკალური ფორმა, სახელწოდებით „ჩემი მუსიკალური მარშრუტი“ წარუდგინეთ თანაკლასელებს. წარდგენა კი შემდეგი გეგმით განახორციელეთ:

• როგორ შევუჩინო თითოეულ ქვეითს მუსიკალური დახასიათება. რომელი ქვეითი ამოვარჩიო მარშრუტისთვის და რატომ?

ა) როგორია ამ მუსიკალური დახასიათების რიტმი, ბგერა, მელოდია. დაუკავშირეთ ისინი თითოეული ქვეითის თვისებებს;

ბ) შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე სასურველი მუსიკალური დახასიათება და ახსენით რატომ შეარჩიეთ იგი.

• როგორ შევუჩინო მარშრუტის ობიექტებს (თითოეულ პუნქტს) მუსიკალური ფრაგმენტი?

ა) აღწერეთ, როგორია ამ მუსიკალური ფრაგმენტების მახასიათებლები: ბგერა, მელოდია, რიტმი;

ბ) დაუკავშირეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტები მარშრუტის ამ ობიექტებს. როგორ გადმოსცემს ბგერა, რიტმი, მელოდია თითოეული ობიექტის (პუნქტის) თვისებებს.


• როგორ ამოვიცნო მუსიკალურ კომპოზიციაში სათანადო მარშრუტი?

ა) გაესაუბრეთ თანაკლასელებს ამოიცნეს თუ არა რომელი ქვეითი გადის მარშრუტს;

ბ) აუხსენით თანაკლასელებს, რატომ შეარჩიეთ ეს ქვეითი;

გ) გაესაუბრეთ თანაკლასელებს ამოიცნეს თუ არა კომპოზიციის მიხედვით, რომელი მარშრუტი აირჩიეთ თქვენ;

დ) ახსენით რომელი ობიექტებია მუსიკით დახასიათებული და რატომ დაუკავშირეთ ამ ობიექტებს ეს მუსიკალური ფრაგმენტები.





## კომენტარი:

აღნიშნული კომპლექსური დავალების პირობის გააზრებისთვის მასწავლებელი გაესაუბრება მოსწავლეებს და დაადგენს, ვინ რომელი მარშრუტით „გაისეირნებს“ სოფელში (ეს მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს სქემაზე წარმოდგენილი ობიექტების შესატყვისი მუსიკალური ფრაგმენტები და ხმები). ამისათვის ერთობლივად განიხილავენ ყველა იმ ობიექტს, რომლებიც სქემაზეა აღნიშნული, ესენია: სკვერი შადრევნით, ატრაქციონი, მოძრავი ცირკი (შაპიტო<sup>1</sup>); გადასაადგილებელი საშუალებები – მატარებელი, ავტომობილი, ველოსიპედი, ცხენი; ეკლესია, სკოლა, მარკეტი, ტყე.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ელექტრონულ რესურსებში შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენოთ აღნიშნულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

ვფიქრობთ, მუშაობა ეტაპობრივად უნდა წარიმართოს, შესაბამისად, რამდენიმე გაკვეთილი დაეთმობა. მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს და სთხოვს, სხვადასხვა ნიშნით ამოიცნონ და შეუსაბამონ კონკრეტულ ობიექტს. ბავშვებმა გაჟღერებული ფირის ნომერი წინასწარ უნდა ჩაინიშნონ, რადგან „გასიტყვების“ დროს ფირების რიგითი ნომრების დასახელება მოუწევთ.

## ეს რესურსია:

1. ო. რესპიგი – „რომის ფიჭვები“ – „ვილა ბორგეზე“ – შადრევნის იმიტაცია;
2. ჰ.ვილა-ლობოსი – „კომბოსტოს მზიდავი პატარა მატარებელი“ მატარებლის იმიტაცია;
3. ი. ფუჩიკი – ცირკის მუსიკა;
4. ლ. ჰუმანოიდი – ბიჭი და მისი ველოსიპედი;
5. ლ. ჰუმანოიდი – ავტომობილის მუსიკა;
6. საეკლესიო ზარები;
7. ლ. ანდერსონი – „ცხენი“;
8. სკოლის ზარი;
9. ტყის ხმები;
10. ჩემი სახლი – ბედნიერი განწყობა.

<sup>1</sup> შაპიტო [ფრანგ. **chapiteau**] – დიდი ბრეზენტის კარავი, რომელშიც საცირკო წარმოდგენები იმართება; მოძრავი ცირკი, რომელიც წარმოდგენებს ასეთ კარავში მართავს.

სასურველია, მოსწავლემ წარდგენის („გასიტყვეების“) დროს გამოიყენოს შემდეგი ფრაზები, მაგალითად, „სეირნობა დავინწყე № 1 ბილიკიდან. აქ გავაჟღერებდი ამ მუსიკალურ ფრაგმენტს (სთხოვს მასწავლებელს გააჟღეროს მისთვის სასურველი მუსიკა, რომელიც იქნება რეფრენი). ეს მუსიკა შევარჩიე იმიტომ, რომ ხალისიანია, ხოლო ხალისიანი განწყობა კი უხდება სეირნობას. სახლიდან ტყისკენ (ობიექტი № 5) გავეშურე მეგობრებთან ერთად, იქ ვითამაშებთ დამალობანას... ტყემდე სხვადასხვა ობიექტის გავლა მომიხდა (ეპიზოდები) – გზად შემომესმა საეკლესიო ზარები (გაჟღერდება ზარების ხმა), გავაგრძელე გზა (კვლავ ხალისიანი მელოდია – რეფრენი), საავტომობილო გზას მივადექი, ავტომობილები მოძრაობდნენ ნელა/ჩქარა (ავტომობილის მუსიკა – ეპიზოდი); კვლავ სეირნობის თემა (რეფრენი) იქვე, ჩემმა მეგობარმა ველოსიპედით ჩამიქროლა (ბიჭი და მისი ველოსიპედი – ეპიზოდი); მივადექი (რეფრენით) მატარებლის ლიანდაგებს, მიყვარს, როდესაც მიმავალ მატარებელს ხელს ვუქნევ ხოლმე („კომპოსტოს მზიდავი პატარა მატარებელი“ – ეპიზოდი) და ა.შ. ყოველი ახალი ობიექტის დასახელებამდე მოსწავლემ თავისი ნაბიჯების ამსახველი მუსიკა (რეფრენი) უნდა გააჟღეროს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე ბოლომდე აღწერს თავის მარშრუტს, მასწავლებელი დაუსვამს კითხვებს, რომლებიც შეეხება შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტების ანალიზს, დახასიათებას:

რატომ შეარჩიე ეს მუსიკა? როგორი მელოდია აქვს? როგორი ნაბიჯებით გადაადგილდებოდი სეირნობის დროს? რამდენად შეესაბამებოდა ეს ნაბიჯები რეფრენის რიტმს, ტემპს? ისაუბრე რიტმზე და ა.შ.

ზოგადად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალების შესრულებას დაეთმობა რამდენიმე გაკვეთილი ვინაიდან სწავლების მესამე საფეხურზე დავალებების პირობა სულ უფრო რთულდება და მოსწავლეებს უნევთ ეტაპობრივად გაიაზრონ ინსტრუქცია, ამიტომ მასწავლებელს მოუწევს მოსწავლეებთან ინდივიდუალური თანამშრომლობა. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის მიერ კლასის ეფექტურად მართვას, სწორად განხორციელებულ მენეჯმენტს: როგორ წარადგენს მოსწავლე შესასრულებელ დავალებას? რამდენად სწორად გაიაზრებს დავალების პირობას? როდესაც ერთს ეხმარება, ამ დროს რას აკეთებს სხვა?

ვფიქრობთ, შესაძლებელია კლასში შეიქმნას თანამშრომლობითი წყვილები – მოსწავლეებმა შეაფასონ ერთმანეთის დავალება; შესაძლებელია განსხვავებული საგაკვეთილო ფორმატიც მოიფიქროს, მაგალითად, „მრგვალი მაგიდა“ – მერხები იმგვარად დალაგდეს, რომ მასწავლებელმა წრეზე იმოძრაოს და ამგვარად დაამყაროს კომუნიკაცია პატარებთან და ა.შ.

**რას ვაფასებთ?**

<b>აღწერა</b>	
ასრულებს დავალებას პირობის თანახმად (ირჩევს მარშრუტს, თითოეულ ობიექტს შეურჩევს მუსიკალურ ფრაგმენტს).	
ამოიცნობს და აღწერს მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების განწყობას.	
<b>ახსნა</b>	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეარჩია კონკრეტული მარშრუტი და რა მახასიათებლის მიხედვით შეუსაბამა მუსიკალური ფრაგმენტები თითოეულ ობიექტს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, სათანადო ლექსიკას).	
ხსნის, თუ რა მუსიკალური ხერხებით მიიღწევა ესა თუ ის განწყობა/ქმედება.	
<b>შეფასება</b>	
აფასებს, რამდენად გაართვა თავი დავალებას.	
წარდგენის დროს გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას.	

<b>II ეტაპი</b>
<b>ნაბიჯი 1.</b> როგორ გადმოიცემა ხმებითა და ბგერებით სეირნობის მარშრუტი (აქტ. 34).
<b>ნაბიჯი 2.</b> როგორ შეიძლება ხმებითა და მუსიკალური ფრაგმენტებით აღწეროს ქვეითი, რომელიც გადის ამ მარშრუტს (აქტ. 35-40).
<b>ნაბიჯი 3.</b> რა არის გასათვალისწინებელი მუსიკალური მარშრუტის შექმნის დროს (აქტ. 41-42).
<b>ნაბიჯი 4.</b> როგორ წარვადგინოთ მუსიკალური მარშრუტი (აქტ. 43).
<b>ნაბიჯი 5.</b> როგორ შეიძლება ხმებითა და მუსიკალური ფრაგმენტებით სფლის ხმების აღწერა (აქტ. 44; 46-47).
<b>ნაბიჯი 6.</b> კომპლექსური დავალების წარდგენა (აქტ. 44-48).

### აქტივობა 30

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალემა 19); ხმების კოლაჟი.

სამუშაო რვეულში გამოსახულია გოგონასა და ბიჭის ყოველდღიური გზა, მარშრუტი სკოლისკენ. მოსწავლეებმა უნდა მოუსმინონ აუდიოჩანაწერს და გამოიცნონ, რომელი მოსწავლის გზაა, გოგონასი თუ ბიჭის?




**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელი პერსონაჟის მარშრუტი შეარჩიეთ, გოგონასი თუ ბიჭის?
- ხმების მიხედვით რა დაადგინეთ, რა გზა გაიარა მოსწავლემ?
- აღწერეთ მარშრუტი;
- რა ხმები ისმოდა თქვენ მიერ შერჩეულ მარშრუტში?
- როგორი თანმიმდევრობით გაჟღერდა ეს ხმები?
- რომელი ხმა იყო ამათგან ხმაური?
- რომელ ფირში გაჟღერდა ზუსტი, მუსიკალური ბგერები?
- ხმების თანმიმდევრობაში მერამდენე ფირია ზუსტი მუსიკალური ბგერებით?

### აქტივობა 31-32

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალემა 20); ნაბიჯების ხმები (ფირი №1,2); ი. გურგულია – „კარუსელი“.

1) სამუშაო რვეულში მოსწავლეები დაათვალიერებენ ფორტეპიანოს კლავიატურას, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ ერთი და იგივე დასახელების ბგერები (კლავიშები) მეორდება.



მოსწავლეები ასრულებენ ინსტრუქციას – გადაითვლიან რამდენი საფეხურია დო-დან დო-მდე, რე-დან რე-მდე და ა.შ. განსაზღვრავენ რა მეორდება კლავიატურაზე; რომელი მანძილია უფრო დიდი და რომელი – პატარა.


**მასწ.** – გადათვალეთ, რამდენი საფეხურია დო-დან დო-მდე? რე-დან რე-მდე? ფა-დან ლა-მდე?


– ვის შეუძლია კლავიშების სახელწოდებები გადათვალოს რე-დან რე-მდე? მი-დან მი-მდე? რამდენი საფეხურია რე-დან ლა-მდე? და ა.შ. რომელი მანძილი უფრო დიდია – რე-დან რე-მდე თუ რე-დან ფა-მდე?

**კომენტარი:**


მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ გადათვალონ საფეხურები სანყისი ნოტიდან (ფუძიდან) ბოლო ნოტამდე (მწვერვალამდე), მასწავლებელი მარტივად გაართმევს თავს მომდევნო აქტივობას – მელოდიური ხაზის მოძრაობას დააკავშირებს ინტერვალის ცნებასთან.

ვინაიდან გასეირნება ნაბიჯებით ხდება, რამდენიმე აქტივობა დაეთმობა ინტერვალების გაცნობას. ტერმინს „ინტერვალი“ სანყის ეტაპზე არ განვმარტავთ (ეს ცნება მას შემდეგ შეიძლება შემოვიტანოთ, რაც მოსწავლეებს გამოვაცნობინებთ „დიდ და პატარა ინტერვალებს“), არამედ ვიყენებთ ე.წ. „ნაბიჯის“ პრინციპს, მაგალითად, შეიძლება შეკითხვის ამგვარად ფორმულირება: „როგორი ნაბიჯებით მოძრაობს მელოდია?“... ინტერვალების (ნაბიჯების) სიდიდის დადგენა ვიზუალურადაც ადვილად

იქნება შესაძლებელი, მაგ: , ეს ნოტები უფრო ახლოსაა ერთმანეთთან თუ ეს:



2) მასწავლებელი ასმენინებს ფეხით მოსიარულეების ხმებს. არკვევენ, სწრაფი ნაბიჯებია თუ ნელი; მოკლე ნაბიჯებია თუ გრძელი.



**კომენტარი:**

ფეხით მოსიარულეების ამოცნობა შესაძლებელია როგორც ნაბიჯების რიტმით, ასევე ამ ნაბიჯების ინტერვალებით, სიდიდით.

მოსწავლეებმა უკვე იციან, რომ ბგერები ერთმანეთისგან სიმალლით განსხვავდებიან, ხოლო ინტერვალი, ანუ მანძილი ორ ბგერას შორის, გვიჩვენებს რამდენად დიდია ან პატარაა სხვაობა ბგერების სიმალლეებს შორის.

თუკი ორი ბგერის სიმალლეებს შორის მცირე განსხვავებაა, ეს ნიშნავს, რომ ბგერებს შორის მანძილი პატარა ინტერვალით გაიზომება, ხოლო თუკი ორი ბგერის სიმალლეს შორის განსხვავება დიდია, ეს ნიშნავს, რომ მათ შორის დიდი ინტერვალია.

სამუშაო რვეულში დათვისა და გოგონას ნაბიჯების ამსახველი მოტივებიდან მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ რომელ მაგალითშია ყველაზე დიდი ნაბიჯი? ყველაზე პატარა? საშუალო?


დათვის მოტივი 

გოგონას მოტივი 

მოსწავლეებმა ეს სანოტო მაგალითები ხაზებით უნდა დაუკავშირონ სურათებს:



2. პატარა მეგობრებმა პარკში შეირბინეს და აიწონა-დაიწონასკენ გაიქცნენ თან. აი, ეს სიმღერა გაიმღერეს:



მაღ-ლა, დაბლა. მაღ-ლა, დაბლა. მაღ-ლა, დაბლა.

თქვენც შეასრულეთ ეს მოტივი „მაღლა, დაბლა“. უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი „მაღლა, დაბლა“?
- განმეორებითია თუ იცვლება?
- რამდენჯერ განმეორდა სიტყვები „მაღლა, დაბლა“?

#### კომენტარი:

მასწავლებელს ვთავაზობთ, პატარებს შეასწავლოს ი. გურგულიას სიმღერა „კარუსელი“.

#### აქტივობა 33

**რესურსი:** აუდიოფირები ინტერვალებით; სამუშაო რვეული (დავალება 21)

• მასწავლებელი ასმენინებს ინტერვალებს დ.2, დ.3. ნმ.4, ნმ.8, სთხოვს მოსწავლეებს განსაზღვრონ, რომელ შემთხვევაში არის ბგერებს შორის მანძილი დიდი დაშორების და რომელში – პატარა დაშორების, შესაბამისად, იყენებს ცნებას „ინტერვალი“.

ბ) სამუშაო რვეულში შეასრულებენ დავალებას: მასწავლებელი ასმენინებს ინტერვალების თანმიმდევრობას (ფირები №1,2.), ხოლო მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, რომელი თანმიმდევრობაა სწორი (პატარა რგოლში ჩანერონ სწორი პასუხის ნომერი):

დიდი დაშორების ინტერვალი	პატარა დაშორების ინტერვალი	პატარა დაშორების ინტერვალი	○
პატარა დაშორების ინტერვალი	დიდი დაშორების ინტერვალი	დიდი დაშორების ინტერვალი	○

გ) მოსწავლეებს ვთავაზობთ ერთგვარ „მიქსს“ (ფირი № 3), მუსიკალური კომპოზიციების ფრაგმენტებს, რომლებშიც სხვადასხვა ინტერვალი გამოკვეთილად ჟღერს. მასწავლებელი გააჟღერებს ამ ფირს, დროდადრო „პაუზას“ გააკეთებს, შეაჩერებს და ერთობლივად იმსჯელებენ, საჭიროების შემთხვევაში გაიმღერებენ კიდევ მოტივს; გაარკვევენ, დიდი ინტერვალი გაჟღერდა კონკრეტულ მოტივში თუ პატარა.

ამგვარი სავარჯიშოს შესრულება, ბუნებრივია, არ არის მარტივი, თუმცა, მსმენელებს დავებმარებით ყურადღების კონცენტრაციაში, მელოდიის მოძრაობის მიმართულების დადგენაში.

### აქტივობა 34

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავლება 22); ს. პროკოფიევი – „რაინდთა ცეკვა“, „ჯულიეტა-გოგონა“ ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“; ფრაგმენტი მხიარული განწყობის გამოსახატად; მ. მუსორგსკი – „სურათები გამოფენიდან“ (გასეირნების თემა).

ა) მასწავლებელი ასმენინებს კლასს მუსიკალურ ფრაგმენტებს (ფირები № 1,2,3), სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით მოუსმინონ და განსაზღვრონ, როგორი ნაბიჯებით მოძრაობს მუსიკა (დიდი/პატარა; ნელი/ჩქარი). სამუშაო რვეულში ხაზებით დააკავშირონ მუსიკის დახასიათებასთან გაჟღერებული ფირის ნომერი:

ამ ფრაგმენტში მელოდია საფეხურებრივად მოძრაობს აღმავალი მიმართულებით, შემდეგ ისევ დაბლა დაეშვება, რაც მხიარული გოგონას სირბილსა და სკუპ-სკუპით მოძრაობას აღწერს.



ეს ფრაგმენტი გამოხატულია დინჯი რიტმით, მძიმე ნაბიჯებით, რასაც დაბალი რეგისტრის ბგერები ახმოვანებს.



მხიარული, ლალი სვლა გასართობ მოედანზე. მუსიკაში გამოკვეთილია რიტმი, რომელიც ცეკვის, მოძრაობის სურვილს აღძრავს.





ბ) სამუშაო რვეულში მოსწავლეები დაათვალიერებენ სანოტო ფრაგმენტს, მ. მუსორგსკის „გასეირნების“ თემას, საფორტეპიანო ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“. თავდაპირველად ვიზუალური დათვალიერების შედეგად განსაზღვრონ დიდი დაშორების ინტერვალით არის ნოტები ერთმანეთისგან დაშორებული თუ პატარა დაშორების ინტერვალით; მასწავლებელი ასმენინებს ფრაგმენტს:



### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები;

- რას დაარქმევდით ამ თემას, როგორ სახელწოდებას მისცემდით (შემოხაზეთ პასუხი):

ა) „გასეირნება“;

ბ) „გადარბენა“.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- როგორ ტემპში უღერს ეს თემა?

- როგორი ნაბიჯებით მოძრაობას გამოხატავს მუსიკის რიტმი (შემოხაზეთ პასუხი):

ა) მწყობრი;

ბ) ნახტომებით.

- ეს ნაბიჯები გრძელია თუ მოკლე?

### ინფორმაცია:

ერთხელ კომპოზიტორი მოდესტ მუსორგსკი მეგობარი მხატვრის ნამუშევრების გამოფენაზე მოხვდა. გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა კომპოზიტორზე და გადანყვიტა, თავისი ემოცია მუსიკის საშუალებით გადმოეცა და შეექმნა 10 საფორტეპიანო პიესა. თითოეული პიესა გამოფენაზე ნანახი სურათის სახელწოდებას ატარებს, მაგ., „ჯუჯა“, „ძველი ციხესიმაგრე“, „გამოუჩქავი წინილების ბალეტი“ და ა. შ.

### აქტივობა 35-36

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 23); მუყაოს ქალადისგან დამზადებული სამი ფერის შუქნიშანი; ფორტეპიანო და სანოტო მაგალითები მოტივების ამოსაცნობად.

ა) მასწავლებელი უჩვენებს კლასს სამ ფერს: მწვანეს, ყვითელსა და წითელს და აცნობს თითოეული სიმბოლოს შინაარსს:

– გზა გახსნილია! – და მაღლა ასწევს მწვანე ფერის ნიშანს;

– ყურადღება, მოემზადეთ! – „ანთებს“ ყვითელ ფერს...

– სდექ! – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხით მოსიარულეები ჩერდებიან, ხოლო ავტომობილები იწყებენ მოძრაობას.

ბ) მასწავლებელი გააჟღერებს სამ მუსიკალურ ფრაგმენტს და სთხოვს, მოსწავლეებს, შეძლებისდაგვარად, ამოიცნონ, რომელი ფრაგმენტი შეესაბამება შუქნიშნის თითოეულ ფერს. მოსწავლეები სამუშაო რვეულში თითოეულ ფერს მიუჩვენებენ გაჟღერებული მოტივის ნომერს.

### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეურჩიეთ შუქნიშნის მწვანე ფერს?
  - რა შენიშნეთ მოსმენის დროს, როგორ ტემპში ჟღერს მუსიკა?
  - თქვენი აზრით, ამ მელოდიის თანხლებით ფეხით მოსიარულეები სწრაფად მოძრაობენ თუ ნელა?
    - რატომ ფიქრობთ ასე?
    - რომელი მუსიკალური სიგნალი შეურჩიეთ შუქნიშნის ყვითელ ფერს, სახელწოდებით „ყურადღება, მოემზადეთ!“
      - ეს მუსიკალური სიგნალი რას მიუთითებს, რას ეუბნება ფეხით მოსიარულეებს?
      - როგორი ინტონაციით მიმართავს ყვითელი ფერის მოტივი.
- ა) ბრძანებითი ინტონაციით;
- ბ) თხოვნითი ინტონაციით.

### კომენტარი:

- მასწავლებელი სთავაზობს კლასს იმავე თამაშის მეორე ვარიანტს: არეული თანმიმდევრობით ასმენინებს სამივე ფრაგმენტს: „გზა გახსნილია!“, „ყურადღება, მოემზადეთ!“, „სდექ!“ . ბავშვებმა გამოიცნონ, რომელი ფერის ნიშანი შეესაბამება მოსმენილს.
- მასწავლებელი ასმენინებს სიმღერას<sup>1</sup> „სამი ფერი“. ტექსტში გააფლერებული შუქნიშნის ფერის შესაბამის ე.წ. „შუქნიშანს“ ასწვენ მალლა. შურვილისამებრ ბავშვები აჰყვენ მღერით.

### აქტივობა 37

**საკითხი:** როგორ შევურჩიოთ მუსიკა ქალაქის სხვადასხვა ობიექტს?

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 24); პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“, ბალეტი „მაკნატუნა“; ელექტრონული გიტარის შესრულებით ფრაგმენტი; „ოლე, ოლე, ოლა“ – ესპანური საფეხბურთო სიმღერა.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს სხვადასხვა მაღაზიის ვიტრინების დათვალიერებას, რის შემდეგაც მოსწავლეებს მოუწევთ მაღაზიებისთვის შესაბამისი მუსიკის შერჩევა.

**მასწ.** – ახლა კი, გავისეირნოთ მაღაზიებში. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა მაღაზიის ვიტრინა. შეგიძლიათ ამ ვიტრინებისთვის მუსიკის შერჩევა?



### სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:<sup>2</sup>

- როგორი მუსიკა შეურჩიეთ ყვავილების მაღაზიას?
- რომელი რეგისტრის ბგერები ჟღერდა ამ მუსიკაში?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში გამოიკვეთა ენერგიული რიტმი?
- თქვენი აზრით, ასეთი მუსიკა რომელი მაღაზიის ვიტრინას მოუხდებოდა?
- ეს მუსიკალური ფრაგმენტი ბუნებრივი (აკუსტიკური) ბგერებით სრულდება თუ ელექტრონული ბგერებით?

<sup>1</sup> ჩვენ მიერ შემთავაზებულ ელექტრონულ რესურსში მასწავლებელს ვთავაზობთ სიმღერას „შუქნიშანზე“ („ბასტი-ბუბუს“ შესრულებით).


<sup>2</sup> მასწავლებელს შეუძლია კითხვები დასვას შერჩევით.

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში ისმის სასიამოვნო, „ხავერდოვანი“ ჰარმონია?
  - დაახასიათეთ ამ მუსიკის მელოდია:
    - ა) მდორეა;
    - ბ) პატარა ინტერვალებით მოძრაობს;
    - გ) დიდი ინტერვალებით მოძრაობს;
    - დ) სხვა.
  - მოსმენილთაგან რომელი ფრაგმენტი მიიჩნით სპორტული თამაშის მონაწილეების ერთგვარ გამხსნევებად?
    - ეს ფრაგმენტი მხოლოდ ინსტრუმენტების მიერ სრულდება თუ ხმაც (ვოკალი) ღებულობს მონაწილეობას?
    - რა შეძახილი ისმის ამ სიმღერაში? განმეორებით მოისმინეთ და აყევით მღერით.

### აქტივობა 38

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 25); ფირები № 1,2,3.

მოსწავლეები ათვალიერებენ სამუშაო რვეულში შენობა-ნაგებობებს. საუბრობენ, აღწერენ. აღწერის პროცესში მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, რომ არსებობს ძველ დროს აგებული მდიდრული შენობები, რომლებიც რამდენიმე ასწლეულს ითვლის, შემდეგ შედარებით ძველი და ამასთან, მოკრძალებული შენობები (მაგალითად, მრავალსართულიანი სახლები) და უახლესი ნაგებობები, რომლებიც ძალიან უცნაურად გამოიყურებიან, თითქოს კოსმოსშია. შემდეგ კი ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს. მოსწავლეებმა მუსიკა უნდა შეუსაბამონ არქიტექტურულ ნაგებობებს, გაჟღერებული ფირის ნომერი კი ჩანერონ რგოლში.



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შესრულდა ელექტრონული ბგერებით?
- როგორ ფიქრობთ, რომელ შენობას მიესადაგება ეს მუსიკა?
- მუსიკის რომელი ელემენტია ამ ფრაგმენტში გამოკვეთილი?

ა) მელოდია;

ბ) რიტმი.

- თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ხალისიანი მუსიკა?
- როგორი რიტმი აქვს ამ მუსიკას?
- რომელი ფრაგმენტია ნაკლებად ხალისიანი? მდორე, მშვიდი?
- აღწერეთ ამ მუსიკის მელოდია:

ა) მშვიდია;

ბ) მდეღვარეა;


გ) პატარა ინტერვალებზე მოძრაობს;

დ) მშვიდი შესავლის შემდეგ გაჟღერდება ვიოლინოს ტემბრი, რასაც შეუერთდება მეორე ვიოლინო...

**აქტივობა 39**

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 26); პაპელბელი – კანონი რე-მაჟორი; ელექტრონული მუსიკა; პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“, ბალეტი „მაკნატუნა“; ელექტრონული გიტარის შესრულებით ფრაგმენტი; „ოლე, ოლე, ოლა“ – ესპანური საფეხბურთო სიმღერა.

სამუშაო რვეულში ერთობლივად ეცნობიან ორ მარშრუტს. მასწავლებელი ას-მენინებს ფირებს და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ, ამ ორიდან რომელი მარშრუტის მუსიკალურ გაფორმება გაჟღერდა. იმსჯელონ, მათთვის ნაცნობი რომელი ობიექტია (მაღაზიის ვიტრინები, შენობები) გამოსახული ამ სქემაზე და რომლის მუსიკალური გაფორმება გაჟღერდა. აქვე შემოაქვს ცნება **რონდოს** ფორმა და განმარტავს.



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**


- თქვენი აზრით, რატომ მეორდება ერთი მუსიკალური ფრაგმენტი?
- ვის ან რას აღწერს ეს მუსიკალური ფრაგმენტი?
- რა განწყობისაა ეს მუსიკალური ფრაგმენტი?
- როგორი რიტმი აქვს:
  - ა) მდორე;
  - ბ) ცოცხალი;
  - გ) ძალიან სწრაფი.
- როგორი მელოდია აქვს?
- რას გაგონებთ ეს მელოდია?
  - ა) ბავშვის გასეირნებას;
  - ბ) მამაკაცის გასეირნებას.

**კომენტარი:**

**რონდო** – ფრანგ. rondeau – წრეს ნიშნავს, რაც მიგვანიშნებს ერთი და იმავე მუსიკალური ფრაზის, მოტივის, თემის (როგორც მთავარის) მუდმივ ტრიალს, გამეორებას. რონდოს ფორმაში რამდენჯერმე (არანაკლებ სამისა) უცვლელად მეორდება ერთი თემა, რომელიც მონაცვლეობს სხვა თემებთან. რონდოს იმ თემას, რომელიც უცვლელად ან უმნიშვნელო ცვლილებებით მეორდება, **რეფრენი** ეწოდება, იმ თემებს კი რომლებიც რეფრენს ენაცვლებიან – **ეპიზოდები (ბერძნულად ჩართვა, ჩადგმა)** ეწოდება. რონდო სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ: A – B – A- C – A – D ... A.

წარმოდგენილ აქტივობაში რეფრენის ფუნქციას ასრულებს ბავშვის გასეირნების თემა, მას ენაცვლება ეპიზოდები – ყვავილების მაღაზიის ამსახველი მელოდია, ძელი ეპოქის არქიტექტურული ნაგებობის შესატყვისი მელოდია, მუსიკალური საკრავების მაღაზიის შესატყვისი მუსიკალური ფრაგმენტი.

საბოლოოდ ამ კოლაჟის სქემა ამგვარი იქნება:



## აქტივობა (შუალედური) 40

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 27); ხალხური სიმღერა „მოდი, ვნახოთ ვენახი“.



**მასწ.** – მცირე ხნით სოფლისკენაც გადავინაცვლოთ. იქ არ არის მაღალსართულიანი შენობები, ავტომობილებითა და ადამიანებით სავსე ქუჩები. სამაგიეროდ, უხვადაა მთები, ველები, ტყეები, მდინარეები. მოდით, გავისეირნოთ ვენახში, სადაც, თურმე თხა შეპარულა...

სამუშაო რვეულში ათვალეერებენ ნახატს და კითხულობენ ტექსტს. არკვევენ, რომელი ფრაზა მეორდება და რამდენჯერ.

ასმენინებს ჩანაწერს. მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ მოტივს სიტყვებზე: „აბა, ვთქვათ! მოდი ვნახოთ...“ შემდეგ კი სთავაზობს, მღერით გაიმეორონ. თავად გაიმღერებს/მოსამენინებს ფირს.

განმეორებითი მოსმენის შემდგომ, უნდა დაითვალონ, რამდენჯერ გამეორდება ფრაზა: „აბა, ვთქვათ!“

## აქტივობა 41


**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალეზა 28); ფირები №1,2,3.

იმის გათვალისწინებით, რომ შესასრულებელი კომპლექსური დავალეზა „ჩემი მუსიკალური მარშრუტი“ გულისხმობს ობიექტს ცირკი შაპიტო, მოსწავლეებს ვთავაზობთ საცირკო წარმოდგენის მუსიკით გაფორმებას.

სამუშაო რვეულში მოზარდები ათვალისწინებენ შაპიტოს (ბრეზენტით გადახურული კარავი, მოძრავი ცირკი, რომელშიც წარმოდგენები იმართება) და საცირკო წარმოდგენის მონაწილეებს: წამყვანს, აკრობატებსა და ჯამბაზს.

მასწავლებელი ასმენინებს კლასს მუსიკალურ ფრაგმენტებს. გაჟღერებული ფირის ნომერი ბავშვებმა უნდა ჩანერონ შესაბამის რგოლში.

ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს. მოსწავლეები შეუჩვენებენ თითოეულ მონაწილეს გაჟღერებული ფირის ნომერს.



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- დაახასიათეთ საცირკო წარმოდგენის წამყვანის მუსიკალური ფრაგმენტი, ამისათვის მონიშნეთ (ხაზი გაუსვით) თქვენთვის სასურველი სიტყვები (თითოეულ მუსიკის ელემენტთან შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხის მონიშვნა):

**რიტმი** – მოძრავია, მშვიდია, ცოცხალია, მდორეა, მარშისებურია, საცეკვაოა.

**ტემპი** – ნელია, ზომიერია (საშუალო), ჩქარია.

**მელოდია** – აღმავალია, დაღმავალია, ნახტომები ახასიათებს, მდორეა – საფეხურებრივად მოძრაობს.



• რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეურჩიეთ აკრობატების გამოსვლას? რგოლში ჩანერეთ გაჟღერებული ფირის ნომერი

• რას აღწერს ეს მუსიკა:

ა) აკრობატები ბრუნვით მოძრაობას ასრულებენ;

ბ) აკრობატები ხტიან.

• როგორ ფიქრობთ, ამგვარი მოძრაობა ნელ ტემპში ხდება თუ ჩქარი?

• აღწერეთ მუსიკა, რომელიც ჯამბაზს განასახიერებს, იმსჯელეთ, როგორ მოძრაობს ჯამბაზი:

ა) მუსიკის რიტმი მშვიდია;

ბ) მუსიკის რიტმი ენერგიულია.

• მუსიკის მიხედვით, ჯამბაზი როგორ გადაადგილდება

ა) წრეზე დარბის;

ბ) ხტუნვა-ხტუნვით გადაადგილდება.


• მელოდიაში მაღალი რეგისტრის ბგერები ჟღერს თუ დაბალი რეგისტრის?

• ჯამბაზი მხარულია თუ მოწყენილი?

### აქტივობა 42-43

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 29); ფირები №1,2,3,4. ო. დიხამინჯია - „ბულბული“<sup>1</sup>;

1. მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალთვლებენ სხვადასხვა სახის ლანდშაფტს: მდელს, მდინარის ნაპირს, დასახლებულ პუნქტს (სოფელს). მასწავლებელი ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს და სთხოვს პატარებს, შეუსაბამონ კონკრეტულ სურათს. გაჟღერებული ფირის ნომერი ჩანერონ რგოლში.




<sup>1</sup> მასწავლებელი ასმენინებს ო. დიხამინჯიას სიმღერას „ბულბული“ და სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვებზე „ტიავ-ტიავ, რაკრაკა“ აყვინ მღერით. სურვლის შემთხვევაში, მასწავლებელი შეასწავლის კლასს სიმღერას.

**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეითხვები:**

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეურჩიეთ მდინარის ნაპირს?
- მუსიკის რომელი ელემენტებია ამ ფრაგმენტში გამოკვეთილი?
  - ა) მელოდია;
  - ბ) რიტმი.
    - მოსმენილთაგან რომელია ყველაზე ხალისიანი მუსიკა?
    - როგორი რიტმი აქვს ამ მუსიკას?
    - რომელი ფრაგმენტია ნაკლებად ხალისიანი?
    - აღწერეთ ამ მუსიკის მელოდია:
      - ა) მშვიდია;
      - ბ) ენერგიულია;
      - გ) ფორტეპიანოს ტემპრით სრულდება და დამატებული აქვს ხმოვანი ეფექტები.

2. მასწავლებელი ასმენინებს კლასს თანმიმდევრობას (ფირი 4). ბავშვებმა სამუშაო რვეულში უნდა მონიშნონ ის მარშრუტი, რომელსაც შეუსაბამებენ მოსმენილს.



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რომელი მარშრუტი შეუსაბამეთ მოსმენილ თანმიმდევრობას?
- რომელი პუნქტიდან დაიწყო თქვენ მიერ შერჩეული მარშრუტი?
- ამ სანყისი პუნქტის შესაბამისი მუსიკის მიხედვით, როგორი ნაბიჯებით გადაადგილდება მგზავრი, სეირნობს და მშვიდად მოძრაობს თუ ჩქარობს?
  - მუსიკის რომელი ელემენტი მიუთითებს ამგვარი ნაბიჯების შესახებ?
  - როგორ, რა ნიშნით მიხვდით, რომ მდინარის სანაპიროს მიუყვება მგზავრი?
  - როგორ ტემპში მიუყვება მგზავრი მდინარის ნაპირს, ნაბიჯს აუჩქარა თუ შეანე-ლა?
  - მოსეირნე სოფელს მიუახლოვდა. როგორი ხმები შემოესმა მას?
  - გარდა ბუნებრივი ხმებისა, კიდეც რა ხმები ისმის სოფელში?

**III თავი – ჩემი ცხოვრების ერთი დღე**  
**კომპლექსური დავალება №3 (აქტივობა 60-64)**

კომპლექსური დავალების პირობა	გრძელვადიანი მიზნები
<p><b>საკითხი:</b> განწყობის გადმოცემა მუსიკით.</p> <p><b>პირობა:</b></p> <p>შეადგინეთ „ბედნიერი დღის მუსიკალური განრიგი“. მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებიდან შეურჩიეთ სათანადო თანხლება თქვენთვის სასურველ საქმიანობას (დილის გამამხნეებელ ვარჯიშს, საუზმეს, თამაშს, კინო-თეატრში საინტერესო ფილმის ნახვასა და დღის ბოლოს ძილისთვის მზადებას).</p> <p>ჩამოწერეთ, შემდეგ კი ისაუბრეთ, მოუყევით თანაკლასელებს თუ როგორ გაატარებდით ბედნიერ დღეს. მონათხრობს დაურთეთ თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტები იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს თქვენ გაქვთ დალაგებული „ბედნიერი დღის განრიგში“.</p> <p><b>პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ დაუკავშირეთ სხვადასხვა საქმიანობისა და გართობის ფორმის ამსახველი სურათები მუსიკალურ ფრაგმენტებს?</li> <li>როგორ შეადგინეთ ერთი დღის მუსიკალური განრიგი?</li> <li>ცხრილის დახმარებით როგორ წარადგინეთ თქვენ მიერ შედგენილი მუსიკალური განრიგი?</li> </ul> <p><b>დამხმარე რესურსი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიოფირები</li> </ul>	<p><b>სამიზნე ცნება:</b> მუსიკა</p> <p><b>შედეგი:</b> მუს. დანყ. (I) 2,4,5.</p> <p><b>ქვეცნებები:</b></p> <p><b>ბგერა</b> – ბგერის სიძლიერე (ხმამალა-ლი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრი-ალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო); სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა); <b>რიტმი</b> – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინა-ტო); <b>ტემპი</b> – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი; <b>მეტრი</b> – ძლიერი და სუსტი დრო; <b>მელოდიის ხასიათი</b> – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი, და ა.შ.); <b>მელოდიაში ინტონაციები</b> – ხმაბაძვითი ინტონაცია.</p> <p><b>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რასაც აქვს განწყობა, შინაარსი და ინვესჩვენში გარკვეულ განცდას;</li> <li>ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია;</li> <li>მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.</li> </ul>

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	რა კითხვებზე ვმუშაობთ?	რა კავშირშია კომპლექსურ დავალებასთან?
<p><b>I ეტაპი</b></p> <p>კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა</p>	<p><b>მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.</b></p> <p>თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, და აგრეთვე იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე აქტივობას, მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიაზროს თუ როგორ უნდა დაუკავშიროს სხვადასხვა საქმიანობის და გართობის ფორმის ამსახველი სურათები მუსიკალურ ფრაგმენტებს, მოასმენინებს ხმებს, რომლებიც ძირითადად დილაობით გაჟღერდება ხოლმე, როდესაც ვილვიძებთ და ვემზადებით ახალი დღის შესახვედრად. შემდეგ კი სთხოვს პატარებს თანმიმდევრობით დაალაგონ (შეძლებისდაგვარად) მასწავლებლის მიერ გაჟღერებული დილის ხმები (იხ. აქტივობა 47).</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რა არის ასახული კომპლექსური დავალების პირობაში?</li> <li>• თქვენი აზრით, როგორ უნდა იმუშაოთ ამ დავალებაზე?</li> <li>• როგორია თქვენი ერთი დღის განრიგი?</li> <li>• როგორ მუსიკას შეურჩევთ დღის განმავლობაში განხორციელებულ ქმედებებს?</li> </ul>	<p>კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის – მარტივიდან რთულისაკენ – გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს, ვინაიდან ეს გაკვეთილები იქნება პატარების პირველი გააზრებული შეხება მუსიკასთან/ხმებთან.</p>

## კომპლექსური დავალება №3

**საკითხი:** მუსიკით განწყობის გადმოცემა

**პირობა:** შეადგინეთ „ბედნიერი დღის განრიგი“. მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებიდან შეურჩიეთ სათანადო თანხლება თქვენთვის სასურველ საქმიანობას (დილის გამამხნეებელ ვარჯიშს, საუზმეს, თამაშს, კინო-თეატრში საინტერესო ფილმის ნახვასა და დღის ბოლოს ძილისთვის მზადებას).




ჩამონერეთ, შემდეგ კი ისაუბრეთ, მოუყევით თანაკლასელებს თუ როგორ გაატარებდით ბედნიერ დღეს. მონათხრობს დაურთეთ თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტები იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს თქვენ გაქვთ დალაგებული „ბედნიერი დღის განრიგში“.

**ინსტრუქცია:**


• დაუკავშირეთ სხვადასხვა საქმიანობის და გართობის ფორმის ამსახველი სურათები მუსიკალურ ფრაგმენტებს:

➤ შეურჩიეთ მუსიკალური ფირები ცხრილში ჩანერულ მოქმედებებს („ადგომა“, „დილის გამამხნეებელი ვარჯიში“, „ძილი“).

**ცხრილი**

დღის განმავლობაში განხორციელებული მოქმედებები	ფირი №
ადგომა 	
დილის გამამხნეებელი ვარჯიში 	
ძილი 	

- შემდეგი მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენამდე, დააკვირდით სურათებს და შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი სამი აქტივობა. კარგი იქნება, თუკი ამ ქმედებებს დაასათაურებთ, მაგალითად: ფეხბურთის თამაში, გასეირნება კინოთეატრში... და შეავსებთ ცხრილის პირველ სვეტში გამოტოვებულ ადგილებს. შემდეგი მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენამდე, დააკვირდით სურათებს და შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი სამი აქტივობა. კარგი იქნება, თუკი ამ ქმედებებს დაასათაურებთ, მაგალითად – ფეხბურთის თამაში, გასეირნება კინო-თეატრში... და ჩანერეთ ცხრილის თავისუფალ სვეტებში:



- თქვენ მიერ არჩეულ სამ აქტივობას მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტები და ცხრილის მეორე სვეტში ჩანერეთ მათი ნომერი;

- ფრაგმენტების შერჩევისას დააკვირდით მუსიკალურ მახასიათებლებს (მელოდიას, რიტმს).


- **შეადგინეთ ერთი დღის მუსიკალური განრიგი:**

- თქვენ მიერ შევსებული ცხრილის მიხედვით შეავსეთ სქემა, სადაც შესაბამის უჯრებში ჩანერთ მუსიკალური ფრაგმენტების ნომრებსა და თქვენ მიერ შერჩეულ დასათაურებას. ამგვარად, გართობის თანმიმდევრობაც თვითონ გადაწყვიტეთ. გაითვალისწინეთ, რომ ძილის წინ არ უნდა იყოს რაიმე ძალიან მოძრავი თამაში, რადგან ამის შემდეგ პატარებს დაძინება გაგიჭირდებათ.

- **სქემის დახმარებით წარადგინეთ თქვენ მიერ შედგენილი მუსიკალური განრიგი:**

- ახსენით, რა მახასიათებლების (მელოდია, რიტმი, ტემპრი, ტემპი) მიხედვით შეურჩიეთ სურათებს მუსიკალური ფრაგმენტები.

**სქემა**



**რას ვაფასებთ?**





<b>აღწერა</b>	
ავსებს ცხრილს პირობის თანახმად (ირჩევს სათანადო სურათებს, ჩანერს სურათების და აუდიოფაილების ნომრებს ცხრილის სათანადო ადგილას)	
უსადაგებს სურათებს მუსიკალურ ფრაგმენტს	
ამოიცნობს მუსიკალური ფრაგმენტების განწყობა.	
<b>ასხნა</b>	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეურჩია კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტი კონკრეტულ სურათს (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, იყენებს სათანადო ლექსიკას)	
ხსნის, თუ რა მუსიკალური ხერხებით მიიღწევა ესა თუ ის განწყობა	
<b>შეფასება</b>	
აფასებს სურათებზე წარმოდგენილ საქმიანობებს და შეარჩევს სურვილისამებრ	
ამ საქმიანობების შეფასების თანახმად ირჩევს მუსიკალურ ფრაგმენტებს	

### აქტივობა 49

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 31); დილის ხმები (ფირები № 1,2,3,4,5)

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი კლასს წარუდგენს და გააცნობს შესასრულებელი კომპლექსური დავალების პირობას და ერთობლივად იმსჯელებენ, თუ როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნული დავალების შესრულება, მოსწავლეები აღწერენ ინდივიდუალურად (სურვილისამებრ) საკუთარ დღის განრიგს, იმსჯელებენ, გამოთქვავენ ვარაუდს, თუ როგორ მუსიკას შეურჩევდნენ დღის განმავლობაში განხორციელებულ ქმედებებს, მასწავლებელი მოასმენინებს ხმებს, რომლებიც ძირითადად დილაობით გაჟღერდება ხოლმე, როდესაც ვიღვიძებთ და ვემზადებით ახალი დღის შესახვედრად.

**მასწ.** – რა თანმიმდევრობით დაალაგებდით გაჟღერებულ დილის ხმებს? ჩანერეთ სათანადო უჯრაში, თუ რა ხმა გაჟღერდა პირველად, მეორედ, მესამედ და მეოთხედ:

			
<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>

ასმენინებს რამდენიმე ხმის თანმიმდევრობას (ფირი №5) შემდეგ კი სამუშაო რვეულში გამოყოფილ ადგილზე დაწერენ თუ რა თანმიმდევრობით გაჟღერდა თითოეული:


II ეტაპი
<b>ნაბიჯი 1.</b> როგორი ხმებითა და ხმაურით შეიძლება დილით შესრულებული საქმიანობის აღწერა (აქტ. 50-51);
<b>ნაბიჯი 2.</b> როგორ ამოვიცნოთ მუსიკით დღის განმავლობაში შესრულებული სხვადასხვა საქმიანობა სახალისოა თუ მოსაწყენი (აქტ. 52-55);
<b>ნაბიჯი 3.</b> კომპლექსური დავალების წარდგენა (აქტ. 59-63).



**აქტივობა 50**

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 32); დილის ხმები.


**I. მასწ.** – როგორ ფიქრობთ, ხმებით შეიძლება მიხვდეთ მხიარული დილაა თუ მონყენილი? მოდით, ვცადოთ. მოუსმინეთ დილის ხმების ორ ვარიანტს (ფირები № 1,2). აქედან ერთი მხიარული დილის ხმებია. თუკი ამოიცნობთ მხიარული დილის ხმებს შესაბამის ცარიელ უჯრაში ჩახატეთ მზე:




**II. ბუნებრივია, ყველა ეს ხმა შეიძლება მუსიკალური ხერხებითაც გადმოიცეს.**

ა) განმეორებით ასმენინებს უკვე ნაცნობ ხმებს (ფირი № 3,4,5). კიდევ ერთხელ ჩამოთვლიან, რა ხმებია;

ბ) ასმენინებს კლასს სამ მუსიკალურ ფრაგმენტს (ფირები № 6,7,8) და სთხოვს, დაუკავშირონ სურათებს. გაჟღერებული ფირების რიგითი ნომერი უნდა ჩაწერონ ცარიელ უჯრებში:



**III. ასმენინებს კიდევ ოთხი მუსიკალური ფრაგმენტის თანმიმდევრობას (ფირი №9), მოსწავლეებმა განწყობით გამოიცნონ, რომელი ცხრილის მუსიკალური ფრაგმენტებია: მზიანის თუ ღრუბლიანის.**



## აქტივობა 51

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 33); აუდიო ფირები № 1,2,3,4,5,6.

მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალერებენ სურათებს, სადაც ბავშვები სხვადასხვა საქმით არიან დაკავებული. თითოეული სურათის მუსიკით გასაფორმებლად მასწავლებელი ასმენინებს ორ-ორ ფრაგმენტს. ერთი ხალისიანია, მეორე – მშვიდი, მონყენილი. ბავშვებმა თავისი დამოკიდებულება სურათზე წარმოჩენილი საქმიანობის მიმართ მუსიკით უნდა გამოხატონ: თუ მოსწონთ, შეუსაბამონ მხიარული ფრაგმენტი, თუ არ მოსწონთ – მონყენილი ფრაგმენტის ნომერი მონიშნონ:



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- აღწერეთ სურათები, რა საქმიანობით არიან ბავშვები დაკავებული?
- რომელი საქმიანობა მოგწონთ? რატომ?
- როგორ მუსიკას დაუკავშირეთ კომპიუტერთან თამაში?
- რა ანიჭებს მუსიკას მხიარულ განწყობას?
- როგორი რეგისტრის ბგერები უღერს ამ მუსიკაში?
- როგორ ტემპში უღერს მუსიკა?
- აღწერეთ ამ მუსიკის ბგერების ტემპრი:
  - ა) უხეში;
  - ბ) ნკრიალა;
  - გ) მჭექარე.

### **აქტივობა 52-53 (შუალედური)**

**რესურსი:** მ. მუსორგსკი საფორტეპიანო ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“ პიესა „ტიუილრის ბაღი“;

მასწავლებელს ვთავაზობთ აღნიშნული აქტივობა განახორციელოს სკოლის ეზოში. თამაში შეიძლება წარიმართოს ამგვარად:

ა) დაჭერობანას თამაშის დროს ერთი ბავშვი ასკინკილა დასდევს დანარჩენებს დასაჭერად;

ბ) ორ გუნდს შორის გაიმართოს შეჯიბრი ასკინკილათი სირბილში;

გ) მინაზე დახატონ 8 ან 10 უჯრედს და ასკინკილა ხტომით, ფეხის წვერით გადააქვთ ბრტყელი ქვა (სალა) ერთი უჯრედიდან („ბოსტნიდან“) მეორეში. თუ ქვა ხაზზე შერჩება, მოთამაშე „ჩაჭრილია“. მოგებულად ის ითვლება, ვინც ბოლომდე „ჩაუჭრელად“ გავა.

#### **კომენტარი:**


აღნიშნული თამაშების განხორციელების შემდეგ მასწავლებელი ასმენინებს წინასწარ შერჩეულ რამდენიმე ფირს, მუსიკალურ ფრაგმენტს. ის სთხოვს ბავშვებს, მუსიკა შეურჩიონ იმ აქტივობებს, რომლებიც ეზოში განახორციელებს. მოსმენის პროცესში ბავშვები ასაბუთებენ, თუ რატომ, რა მახასიათებლის (რიტმი, მელოდია, ტემპი, ტემბრი) მიხედვით შეესაბამება მუსიკალური ფრაგმენტი კონკრეტულ თამაშს. მას შემდეგ, რაც შეთანხმდებიან, თუ რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეუსაბამონ „კლასობანას“ თამაშს, მასწავლებელი ჩართავს ფირს და მოსწავლეები მუსიკის რიტმის შესატყვის მოძრაობებს შეასრულებენ.

### **აქტივობა 54**

**რესურსი:** სამუშაო რვეული (დავალება 34); მოსასმენი მასალა: პ.

ჩაიკოვსკის საბავშვო ალბომიდან პიესები „კალის ჯარისკაცების მარში“; „ცხენობანა“; ა. ლიადოვი - „მუსიკალური ზარდახშა“.

მასწავლებელი გამართავს დიალოგს კლასთან, დაასახელონ საყვარელი სათამაშო. შემდეგ სამუშაო რვეულში დაათვალიერონ ნახატები და გამოიცნონ, რა სათამაშოებია აქ წარმოდგენილი. მასწავლებელი ჩართავს მუსიკალურ ფრაგმენტებს და სთხოვს მოსწავლეებს მოსმენილი ფირები შეუსაბამონ აქ წარმოდგენილ სათამაშოებს. მოსმენილი ფირის რიგითი ნომერი ჩანერონ ცარიელ უჯრებში.



**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:**

- რა განწყობის მუსიკა შეუჩიეთ თოჯინას?
- რითი ამოიცანით ეს განწყობა, მელოდიით თუ რიტმით?
- აღწერეთ მელოდია (თითოეულ პასუხში მონიშნეთ სასურველი სიტყვა):
  - ა) იდუმალა, საშიშა, მშვიდია;
  - ბ) მღერადია, არამღერადია;
  - გ) აღმავალი ნახტომებით მოძრაობა ახასიათებს; საფეხურებრივად მოძრაობს.
- რას დაარქმევდით ამ მუსიკალურ ნაწარმოებს
  - ა) თოჯინა ცეკვავს;
  - ბ) თოჯინას სძინავს.
- რატომ ფიქრობთ ასე? აღწერეთ მუსიკის რიტმი:
  - ა) მოძრაია
  - ბ) მშვიდია
  - გ) საცეკვაოა.
- რომელი აუდიოფირი შეუსაბამეთ ხისგან დამზადებულ მოსამართ ჯარისკაცს?
- თქვენი აზრით, როგორ გვაგებინებს მუსიკა, რომ ჯარისკაცი სათამაშოა და არა ნამდვილი?

- მოდით, კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ მარშს და რიტმული თანხლება გავუწიოთ მუსიკას – მასწავლებელს შეუძლია რიტმული თანხლების გასაწევად გამოიყენოს ხის კოვზები, ან რაიმე სხვა დასარტყამი საშუალებები, ან კიდევ ფეხების ბაკუნი ძლიერ დროზე (თვლაზე „ერთი“).
- მოსმენილთაგან, რომელი მუსიკალური ფრაგმენტის რიტმია ცოცხალი, ხალისიანი?
- როგორ ფიქრობთ, ბგერის რომელი თვისებით არის მიღწეული ამგვარი განწყობა მუსიკაში? შესაძლებელია რამდენიმე პასუხი:
  - ა) ბგერის სიმაღლით (წვრილი, საშუალო, ბოხი);
  - ბ) ბგერის სიძლიერით (ხმამალალი, ხმადაბალი);
  - გ) ბგერის გრძლიობით (დიდი, საშუალო, მოკლე);
  - დ) ბგერის ტემბრით (უხეში, მჭექარე, წკრიალა, თბილი).

#### აქტივობა 55-59 (შუალედური)

##### კომენტარი:

მომდევნო გაკვეთილებზე მასწავლებელს ვთავაზობთ, კლასს შეასწავლოს სიმღერები, რომლებიც შეიძლება დაუკავშიროთ ბავშვის ყოველდღიურ ყოფას, ცხოვრებისეულ მოვლენებს (იხ. სანოტო დანართი, ხოლო ელექტრონულ რესურსში საქალაქ-დე „კარაოკეები“).

## VIII – ელექტრონული რესურსის ჩამონათვალი

### აუდიო/ვიდეოფირები

1. ა. ონეგერი – „პასიფიკ 231“;
2. რ. როჯერსი – „დო, რე მი“ კ/ფილმიდან „მუსიკის ჰანგები“;
3. გ. ცაბაძე – „ცნობის ფურცელი“ (კ/ფ „ვერის უბნის მელოდიები“);
4. ლ. ანდერსონი – სამეჯლისო მუსიკა;
5. კ. სენ-სანსი – „ლომის მარში“ („ცხოველთა კარნავალი“);
6. ჰვილა-ლობოსი – „კომპოსტოს მზიდავი პატარა მატარებელი“ („ბრაზილიური ბახიანა“);
7. ო. რესპიგი – „ვილა ბორგეზე“ („რომის ფიჭვები“);
8. ი. ფუჩიკი – ცირკის მუსიკა;
9. ლ. ჰუმანოვი – „ბიჭი და ველოსიპედი“;
10. ლ. ანდერსონი – „ცხენი“;
11. ი. გურგულია – „კარუსელი“;
12. ს. პროკოფიევი – „ჯულიეტა გოგონა“ („რომეო და ჯულიეტა“);
13. ს. პროკოფიევი – „რაინდთა ცეკვა“ („რომეო და ჯულიეტა“);
14. მ. მუსორგსკი – გასეირნების თემა („სურათები გამოფენიდან“);
15. პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“ („მაკნატუნა“);
16. პაჰელბელი – კანონი რე-მაჟორი;
17. ელექტრონული მუსიკა;
18. ო. დიხამინჯია – „ბულბული“;
19. „ნანა“ – ხალხური;
20. „მოდი, ვნახოთ ვენახი“ – ხალხური;
21. „თოხნური“ – ხალხური;
22. „რაშოვდა“ – ხალხური;
23. მ. მუსორგსკი – „ურემი“ („სურათები გამოფენიდან“);
24. ე. გრიგრი – „დილა“ („პერ გიუნტი“);
25. ა. ვივალდი – „ზამთარი“ („წელიწადის დრონი“);
26. მ. მუსორგსკი – „ტიუილრის ბაღი“ („სურათები გამოფენიდან“);
27. პ. ჩაიკოვსკი – „კალის ჯარისკაცების მარში“ „საბავშვო ალბომიდან“;
28. პ. ჩაიკოვსკი – „ცხენობანა“ „საბავშვო ალბომიდან“;
29. ა. ლიადოვი – „მუსიკალური ზარდახმა“.
30. კარაოკეები.

### **ხმა-სემპლები**

1. სხვადასხვა ავტომობილის სიგნალები;
2. მტვერსასრუტი;
3. თვითმფრინავი;
4. მატარებელი;
5. სხვადასხვა რეგისტრის ბგერები;
6. ზუსტი სიმაღლის ბგერები;
7. ხმაური;
8. ქუჩის ხმები;
9. სოფლის ხმები;
10. ცირკის ხმები;
11. საეკლესიო ზარები;
12. ტყის ხმები;
13. ინტერვალები;
14. ურმის ქრიალი;
15. თოხი;
16. დილის ხმები (ხელ-პირის დაბანა, კბილების ხეხვა, საუზმე...).

## მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი

**არანჟირება** (გადამუშავება) – მუსიკალური კომპოზიციის მორგება შემსრულებლების სხვა შემადგენლობისათვის.

**Assai** (ასაი) – საკმაოდ, საკმარისად, ძალიან.

**Attacca** (ატაკა) – გადააბი. მითითება რაიმე ნაწილის შემდეგ, რომელიც ნიშნავს შეუსვენებლივ შესრულებას.

**A tempo** (ა ტემპო) – წინა ტემპში. პირვანდელი ტემპის დაბრუნება.

**Bel canto** (ბელ კანტო) – მშვენიერი სიმღერა. 1. იტალიურ ოპერასთან დაკავშირებული სიმღერის მანერა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტექნიკური სრულყოფა და ბგერათნარმოთქმის სილამაზე.

**Beat** (ინგლ.) – რიტმული პულსაცია, რიტმული აქცენტირება.

**გამა, ბგერათრიგი** – ბგერების ერთობლიობა, რომელიც მიეკუთვნება რაიმე კილოურ სისტემას და განსაზღვრული რიგის მიხედვით არის განლაგებული (ალმავალი და დალმავალი მოძრაობის შემთხვევაში, როგორც წესი, გამის სახით).

**გარეტაქტი** – მუსიკალური ნაწარმოების დაწყება სუსტ დროზე.

**გასალები** – სანოტო სისტემის დასაწყისში დაწერილი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო სანოტო ჩანაწერის სიმალღებრივ მდებარეობას (მაგ., ბანის, ვიოლინოს, ალტის და ა. შ.).

**გუნდი** – მომღერალთა ჯგუფი, რომელიც დანაწევრებულია ოთხ პარტიად (სოპრანოები, ალტები, ტენორები და ბანები).

**Da capo** (და კაპო) – „თავიდან“; მითითება პიესის ან ნაწარმოების ნაწილის თავიდან გამეორებაზე; შემოკლ. D.C.

**ელექტრონული მუსიკა** – არა მარტო სინთეზატორით, არამედ ნებისმიერი ხმა წარმოებული ელექტრონული სიგნალის მიერ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს როგორც ელექტრონული, პირველ რიგში კომპიუტერით.

**ენჰარმონიზმი** – თანაბარი ტემპერაციის პირობებში ერთი და იმავე ბგერის ჩანერა სხვადასხვა ხერხით: მაგალითად, ლა დიეზი და სი ბემოლი.

**ვარირება** – კომპოზიციის ხერხი, რომლის დროს პირველად გადმოცემული მასალა გამეორებისას განიცდის ცვლილებებს.

**Vivace** (ვივაჩე) – ცოცხლად, სწრაფად, ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი.

**ვოკალიზი** – 1) სიმღერა ხმოვან ბგერებზე (ვოკალური სავარჯიშო); 2) ნაწარმოები ხმისა (უსიტყვო) და თანხლებისათვის.

**იმიტაცია** – მუსიკალური აზრის ზუსტი ან ნაწილობრივ შეცვლილი გამეორება პოლიფონიური ფაქტურის სხვადასხვა ხმაში.



**ინტერვალი** – მუსიკალური და მათემატიკური (აკუსტიკური) მანძილი ორ ტონს შორის. ინტერვალი შეიძლება იყოს მელოდიური, როდესაც ტონები იღება მიმდევრულად და ჰარმონიული, როდესაც ტონები უღერს ერთდროულად.

**Cantabile** (კანტაბილე) – შესრულების მღერადი, გამართული სტილი.

**კანტილენა** – ლირიკული, მღერადი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდია.

**Cantus firmus** (ლათ.) (კანტუს ფირმუს) – წამყვანი მელოდია, რომელიც პოლიფონიური კომპოზიციის საყრდენს წარმოადგენს.

**Cantus planus** (ლათ.) (კანტუს პლანუს) – გრილორისეული ქორალისთვის დამახასიათებელი რიტმულად მშვიდი ერთხმიანი გალობა.

**კონსონანსი** – ორი ან მეტი ტონის კეთილხმოვანი უღერადობა. კონსონანსის კონცეფცია სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკაში იცვლებოდა.

**კონტრალტო** – რეგისტრულად ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

**კონტრაპუნქტი** – რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ერთდროული შეხამება. ფართო გაგებით, კონტრაპუნქტი იგივეა, რაც პოლიფონია.

**კონტრაფაგოტი** – დიდი ფაგოტი, რომელიც ჩვეულებრივ ფაგოტზე ოქტავით ქვემოთ უკრავს.

**კონტრტენორი** – მამაკაცის ძალიან მაღალი ხმა (ტენორზე მაღალი).

**Crescendo** (კრესენდო) – დინამიკის აღნიშვნა: ხმის სიმალის თანდათან გაძლიერება.

**კოჭა** – ძველებური ქართული ცეკვა. როკვაა ბუქსანავით (ს. ს. ორბელიანი).

**კრაკოვიაკი** – კრაკოვის მცხოვრებთა ცეკვა, ერთ-ერთი პოლონური ეროვნული ცეკვა.

**კრიმანჭული** – დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა) მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ზემო ხმა, მდიდარი მელოდიური ნახტომებით, ორნამენტული.

**კრინი** – მაღალი, ვარიანტული ხმის ქართული სახელწოდება.

**ლაიტმოტივი** – მელოდიური, რიტმული, ჰარმონიული მოტივი, რომელიც ასოცირდება პერსონაჟთან, დროსა და მოქმედების ადგილთან. ლაიტმოტივის ტექნიკას იყენებდა რ. ვაგნერი თავის ოპერებში.

**ლეკური** – სწრაფი, ტემპერამენტული ლეკური ხალხური ცეკვა ორწილად ზომამში, ასრულებს სოლისტი მამაკაცი, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის წყვილი.

**ლენდლერი** – გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული ხალხური წყვილთა წრიული ცეკვა სამწილად ზომამში.

**Lento** (ლენტო) – ტემპის აღნიშვნა: ნელა.

**მაჟორი და მინორი** – ტერმინები გამოიყენება: 1) გარკვეული ინტერვალების ხარისხის განსაზღვრისას, მაგ., ტერცია შეიძლება იყოს მაჟორული, ან დიდი (დო-მი) და მინორული, ან პატარა (დო-მი-ბემოლ); 2) ორი ძირითადი სახის სამხმოვანების აღნიშვნისას: სამხმოვანება, რომლის პირველი ტერცია მაჟორულია – მაჟორულია (დო-მი-სოლ), ხოლო სამხმოვანება, რომლის ფუძე მინორული ტერციაა – მინორულია (დო-მი-ბემოლ-სოლ); 3) 1700 წ.-ის შემდეგ ევროპულ მუსიკაში ორი ყველაზე გავრცელებული ბერათრიგის აღსანიშნავად – მაჟორული (დიდი ტერციით I და III საფეხურებს შორის) და მინორული (პატარა ტერციით I და III საფეხურებს შორის).

**მაზურეკი** – 1. პოლონეთის მაზოვიაში მცხოვრები მაზურების ცეკვა; 2. მუსიკალური ნაწარმოები ამ ცეკვის ფორმით (შოპენის მაზურეკები).

**მანუალი** – ორგანის და კლავესინის კლავიატურა.

**Marcato** (მარკატო) – გამომსახველობის აღნიშვნა: ხაზგასმით, გამოყოფით.

**მელოდია** – მუსიკალური აზრი, რომელიც ერთ ხმაშია გადმოცემული და აქვს განსაზღვრული სიმაღლებრივი და რიტმული კონტურები.

**Meno** (მენო) – „ნაკლებად“; **meno mosso** (მენო მოსო) – ტემპის აღნიშვნა ნაკლები სიჩქარით.

**მენუეტი** – ფრანგული ცეკვა სამნილად ზომაში.

**Moderato** (მოდერატო) – ტემპის აღნიშვნა: ზომიერად, **andante**-სა და **allegro**-ს შორის.

**მოდულაცია** – მაჟორულ-მინორულ სისტემაში ტონალობის შეცვლა.

**Molto** (მოლტო) – ძალიან; ტემპის აღნიშვნა: **molto adagio** – ძალიან ნელა.

**მონოდია** – სოლო ან ერთხმიანი საგუნდო სიმღერა აკომპანემენტის გარეშე.

**მოტივი** – მოკლე მელოდიკო-რიტმული ფიგურა, მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ყველაზე მცირე დამოუკიდებელი ერთეული.

**მოძახილი** – საგუნდო სიმღერის დასაწყისი, რომელსაც ასრულებს მოძახილის მთქმელი ან მომღერალთა მცირე ჯგუფი, რის შემდეგაც სიმღერას მთელი გუნდი აიტაცებს.

**ნადი** – შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც აგებულია ურთიერთდახმარების შრომა-მიგებით პრინციპზე. ნადს იწვევდნენ, როგორც მიწის სამუშაოების (ხვნა, თესვა, ბარვა და სხვ.), ისე სახლის მშენებლობისა და სხვა ერთდროული შრომატევადი სამუშაოების დროს.

**Perpetuum mobile** (პერპეტუუმ მობილე) (ლათ. „მუდმივი მოძრაობა“) – პიესა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია ჩქარ, უწყვეტ, რიტმულ მოძრაობაზე.

**Pianissimo** (პიანისიმო) – ძალიან ჩუმად; შემოკლ.: **pp**.

**Piano** (პიანო) – ჩუმად; შემოკლ.: **p**.

**Piu** (პიუ) – უფრო მეტად; **piu allegro** – ტემპის აღნიშვნა: უფრო ჩქარა.

**Pizzicato** (პიცკატო) – წკმეტივით: შესრულების ხერხი სიმებიან საკრავებზე.

**Portamento** (პორტამენტო) – მელოდიის მღერადად შესრულების განსაკუთრებული მანერა.

**Portato** (პორტატო) – შესრულების სახეობა **legato**-სა და **staccato**-ს შორის.

**რიტმი** – მუსიკის ორგანიზაცია დროში; კონკრეტულად – ბგერების გრძლიობების თანმიმდევრობა.

**როკოკო** – მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრული მიმართულება, რომელმაც განვითარება ჰპოვა უმთავრესად არქიტექტურაში. მუსიკაში მისთვის დამახასიათებელია ორნამენტული მოტივების სიუხვე, მელოდიური ხაზების იკლიკანტურობა.

**სამნილადი მეტრი, ზომა** – ზომა, რომლისთვის ტიპურია თითოეულ ტაქტში (3/4, 3/2) ერთი ძლიერი და ორი სუსტი წილის არსებობა.

**სანოტო სისტემა** – სანოტო დამწერლობაში ხუთი ჰორიზონტალური ხაზის ერთობლიობა

**სინკოპა** – აქცენტის გადატანა ძლიერი წილიდან სუსტზე.

**სინთეზატორი** – ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტი.

**სკერცო** – სიტყვასიტყვით ხუმრობა. პიესა ან ციკლის ნაწილი ჩქარ ტემპში.

**Staccato** (სტაკატო) – მოწყვეტილ. ბგერის მიღების მანერა. Staccato.

**თემა** – მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი მუსიკალური აზრი; ხშირად ეს ტერმინი ფუგის მთავარი თემის, აგრეთვე სონატური ფორმის მთავარი პარტიის აღსანიშნავად გამოიყენება.

**ტემპრი** – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის სპეციფიკური შეფერილობა.

**ტემპი** – მუსიკის მოძრაობის სიჩქარე.

**ტენორი** – 1) ოთხხმიან წყობაში ქვევიდან მეორე პარტია; 2) მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

**ფრაზა** – მელოდიის ფრაგმენტი, რომელიც თავისი დანიშნულებით უთანაბრდება სამეტყველო წინადადებას.

**ქრომატიზმი** – კილოს დიატონური საფეხურების შეცვლა ნახევარტონით.

**ჩონგური** – ქართული საწკმეტი საკრავი.

**ჭუნირი** – ქართული ხალხური ხემიანი საკრავი, გავრცელებულია სვანეთში.

**ხმა** – 1) ბგერა, რომელსაც გამოსცემს ადამიანის იოგები; 2) ინსტრუმენტული ან ვოკალური ნაწარმოების მელოდიური ხაზი ან კონკრეტული ნაწარმოების ფაქტურის ნაწილი.

**ჯაზი** – მე-20 საუკუნის მუსიკალური სტილი, წარმოიშვა აშშ-ში; ჯაზის საფუძველს წარმოადგენს ფერადკანონთა ხალხური მუსიკალური შემოქმედების იმპროვიზაციული ფორმები.

**Giocoso** (ჯოკოზო) – მხიარული, კეკლუცი.

სანოტო დანართი

მ. დავითაშვილი

მანანას სიმღერა

ტექსტი პ. გრუზინსკი

Allegro

ფუნდი

მი-ყვარს ხტუნ-ვა, თა-მა -ში,

თა — მა — ში, ყვე-ლა-ფერ-ზე და-ლი - ან,

და — ლი — ან. მო — სა - წყე - ნად, მით-ხა რით,

ა - ბა სა - და მცა - ლი - ა, დე - ლი, დე-ლა დე-ლა - სა

გუნდი

და. რი — ტებს მი — უ —

- სიმ - ლე - რებ, კიკ - კიკ, კიკ - კიკ, მერც - ხა - ლო!



მა - ნა - ნა ვარ ი - ცო - ლე

სხვებ-ში არ შე-გე - ცვა - ლო.

გუნდი

თუ კი ცო-ტა ვი-ცელ-ქე, ვი-ცელ-ქე, ი-სე ჯავ-რობს მა-მი-კო,

მა — მი — ყო, თით — ქოს ჰა — ტა რო-ბი-სას

The first system consists of a vocal line and piano accompaniment. The vocal line is in G major and features a triplet of eighth notes. The piano accompaniment is in G major and consists of a steady eighth-note accompaniment in the right hand and a bass line in the left hand.

თვი-თონ ცელ-ქი არ- ი-ყო. დე-ლო, დე-ლა, დე-ლა-სა - და.

The second system continues the vocal line and piano accompaniment. The vocal line has a triplet of eighth notes. The piano accompaniment features a more complex rhythmic pattern in the right hand, including sixteenth notes and eighth notes, while the left hand continues with a steady bass line.

*ff*

The third system shows the piano accompaniment for the final part of the piece. It is marked *ff* (fortissimo) and features a dense texture of chords and moving lines in both hands, primarily using eighth and sixteenth notes.

სან-და-ხან თუ ვზარ-მა-ცობ, ვზარ-მა-ცობ,

გა - ნა მართ-ლა ცუ-ღი ვარ, ცუ — ღი ვარ.

ბე — ბი-კო — საც . ვუყ-ვარ - ვარ,



ბა - ბუ - კო - საც ვუნ-დი-ვარ      დე - ლი დე - ლა, დე-ლა - სა

გუნდი

ლა.                      რა      ვუ-ყოთრობ      ა - ქა - იქ

გა - ვა-ჯავ - რებ      მა - მი - კოს,      გა - ნა პა - ტა -

- რა — — — — — ბი — სსს      მა - მა ცელ - ქი არ — ი —

- ყო!

ნან-ბანა

გ. ცაბაძე

Andantino

mf

*mf*

ა - ნა და - ნა, ა - ნა და - ნა, მა - მამ შუ - შა მთ - გვი-ტა - ნა;

*mf*

ა - ნა და - ნა, ა - ნა და - ნა ვის ყავს მა - მა ზუგ - ნის-თა - ნა!



ო რა ცე - ცხლიზრი-ა - ლებს.

ო რა სით-ბო ტრი-ა - ლებს.

The first system of the musical score consists of two staves. The upper staff is a vocal line in treble clef, featuring a melody with eighth and sixteenth notes, some beamed together, and a few rests. The lower staff is a piano accompaniment in grand staff (treble and bass clefs), providing harmonic support with chords and moving lines.

The second system continues the musical score. The vocal line includes the following lyrics:   
 ა - ნა ბა - ნა, ა - ნა ბა - ნა, შა - მამ შე-შა შო - გვი-ტა - ნა;   
 The piano accompaniment continues with similar harmonic patterns.

The third system of the musical score includes the following lyrics:   
 ჰეი! სულ გა - ნათ - და ჩუ - სი ბნე - ლი   
 The vocal line features a melodic phrase followed by a rest and then another melodic phrase. The piano accompaniment includes a prominent arpeggiated figure in the right hand.

ბი - ნა სუს - ხი ვე - ლარ შე - მო - გვი - ლებს

The first system of music consists of a vocal line on a single staff and a piano accompaniment on two staves. The vocal line begins with a half note 'ბი' followed by a quarter rest, then a series of eighth notes: 'ნა', 'სუს', 'ხი', 'ვე', 'ლარ', 'შე', 'მო', 'გვი', 'ლებს'. The piano accompaniment features a steady eighth-note bass line and a treble line with chords and melodic fragments.

კარს ბუც - რის 'პი - რას ჩა - მოვს.ხდე - ბით

The second system of music consists of a vocal line on a single staff and a piano accompaniment on two staves. The vocal line begins with a half note 'კარს', followed by a quarter rest, then a series of eighth notes: 'ბუც', 'რის', 'პი', 'რას', 'ჩა', 'მოვს.', 'ხდე', 'ბით'. The piano accompaniment continues with a similar rhythmic pattern, including some chromatic movement in the bass line.

თბი - ლად და ბანს ვე - ტყვიით მო - გიზ - გი - ზე

The third system of music consists of a vocal line on a single staff and a piano accompaniment on two staves. The vocal line begins with a half note 'თბი', followed by a quarter rest, then a series of eighth notes: 'ლად', 'და', 'ბანს', 'ვე', 'ტყვიით', 'მო', 'გიზ', 'გი', 'ზე'. The piano accompaniment maintains the eighth-note bass line and provides harmonic support for the vocal melody.

ა - ნა ბა - ნა ა - ნა ბა - ნა

ბა - ბაბ შე - შა შო - შვო - შა - ნა; ა - ნა ბა - ნა; ა - ნა ბა - ნა;

ვის ყავს მა - მა ჩვე - ნის - თა - ნა! რა - ლიც ჩვენც მო - ვა - ხერ - ხოთ,



შე-შა მა-ინც დავ-ხერ-ხოთ. ა-ნა, ბა-ნა, ა-ნა ბა-ნა,

მა-შაშ შე-შა მო-ვე-ტა-ნა! ჰე!

კომბი, კომბი, კომარა

ლ. იაშვილი

ტექსტი: ნ. ჩაჩავა

Allegro moderato

*f*

*f*

კომ\_ში კომ\_ში, კო - მა -

*mf*

რა, მო - გეც დი - დი ტო - მა -

რა, ბე - ზოს - მო - ვერ - ბე - ნი - სებ, ბე - ბო



ის მათ ვიყუ - ნი - ნებს. გა. მო. მი. ჭახს ზურ - ჩხე -

The first system consists of a vocal line on a single staff and a piano accompaniment on two staves. The vocal line begins with a treble clef and contains the lyrics 'ის მათ ვიყუ - ნი - ნებს.' followed by 'გა. მო. მი. ჭახს ზურ - ჩხე -'. The piano accompaniment features a rhythmic pattern of eighth notes in the bass line and chords in the treble line. A dynamic marking 'f' is present in the piano part.

ლას, ა. მო. დე - ნას იმ - ხე - ლას

The second system continues the musical piece. The vocal line starts with a treble clef and contains the lyrics 'ლას,' followed by 'ა. მო. დე - ნას იმ - ხე - ლას'. The piano accompaniment continues with similar rhythmic patterns and chords. A dynamic marking 'f' is also present in the piano part.

თავს მო. - ვუკ - რავ ტო - მა - რას, კომ - ში, კომ - ში, კო - მა - რა.

The third system concludes the musical piece. The vocal line starts with a treble clef and contains the lyrics 'თავს მო. - ვუკ - რავ ტო - მა - რას,' followed by 'კომ - ში, კომ - ში, კო - მა - რა.'. The piano accompaniment features a simpler harmonic structure with chords in the treble line and single notes in the bass line.

1. კომ ში, კომ ში, კო მა რა.  
 2. რა.

2) ზურგზე წამოვიკიდებ,  
 ვითომ ძვირად ვიყიდე,  
 დიდ გზას გამოვატარებ,  
 დაურიგებ პატარებს.  
 ბევრს შენ მოგცემ  
 და ბევრ სხვას  
 ბევრსაც მე დავიტოვებ  
 დიდ გზას გამოვატარებ.  
 დაურიგებ პატარებს.  
 დაურიგებ პატარებს.

ცისარტყელები

ტექსტი: ა. გელოვანი

The first system of the piano accompaniment is written in 3/4 time. The right hand features a melodic line with a *mf* dynamic marking, while the left hand provides a simple harmonic accompaniment.

The second system continues the piano accompaniment, showing a continuation of the melodic and harmonic lines in both hands.

The third system of the piano accompaniment includes a *mp* dynamic marking and features more complex chordal textures in the right hand.

The fourth system of the piano accompaniment includes a *mp* dynamic marking and a *fz* (forzando) marking, indicating a moment of increased intensity.

The fifth system includes the vocal line with lyrics in Georgian: ცი - სა - რტყე - ლე - ბი, ა - თა - სვე - რე - ბი, and the piano accompaniment.

ვი - რბი - ნოთ, ვი - ცი - ნოთ.

The first system of music consists of a vocal line on a single treble clef staff and a piano accompaniment on two staves (treble and bass clefs). The vocal line has a melody with a long note on the second measure. The piano accompaniment features a steady eighth-note bass line and chords in the right hand.

პა - ტა - რა ქა - ლო, ჯერ ვი - თვა - ლა - თო,

The second system continues the musical piece. The vocal line has a similar melodic structure to the first system. The piano accompaniment maintains the same rhythmic pattern.

ი - წი - ლო, ბი - წი - ლო.

The third system concludes the main part of the piece. The vocal line ends with a long note. The piano accompaniment provides harmonic support throughout.

მისამდგომი

მთებს, თო - ვლი - ან მთებს, ვუ - მღე -

The fourth system is a separate piece of music. It begins with the title 'მისამდგომი' (Mismadgomi). The vocal line has a melody with a long note. The piano accompaniment features a more complex harmonic structure with chords and moving lines in both hands.

რებთ ღა - მახ სი - მღე - რებს.

შორს გა - ვი - ვლით გზებს, მთა - ზე

და - გი - კრებთ ყვა - ვი - ლებს.



სიმღერა შავ კატაზე

ტექსტი: პ. გრუზინსკი

Allegro scherzando

ყუ - რი უ - გდე, რო - გორ მი - ცემს

სი - ხა - რუ - ლით გუ - ლი, ვი - ნა გშო - ბა, პა - წა - წი - ნავ,

ა - სე გა - მუ - რუ - ლი? მი - აუ,

მი - ავ, ჩე - მო ფი - სუ -

ნო - ავ, მი - აუ, მი - აუ,

1. 2. *rit.* ჩე - მო ფი - სუ - ნი - ავ. *rit.*  
 3. *rit.* ჩე - მო ფი - სუ - ნი - ავ. *rit.*

Andante  
 მი - აუ!

*p* *gliss.* *mp* *morendo*

# ჩემო ციციანთელა

მუსიკა დ. ფაღავასი

ლექსი ა. წერეთლის

Andantino

1. ჩე - მო ცი - ცი-ნა - თე - ღა! რად მი - ჰყრენ ნე-ღა - ნე - ღა? შენ - მა  
 l.che - mo tsi - tsi-na - te - la! rad mi - hpren ne - la ne - la? shen - ma

შო - რით ნა - თე - ბამ დამ - წვა და და - მა - ნე - ღა! შენ - მა  
 sho - rit na - te - bam dam - tsva da da - ma - ne - la! shen - ma

შო - რით ნა - თე - ბამ დამ - წვა და და - მა - ნე - ღა!  
 sho - rit na - te - bam dam - tsva da da - ma - ne - la!

2. ანათებ და კარგი ხარ, მე თუმც არას მარჯიხარ!...  
 ჩემი იყო, ის მინდა, შენ კი სხვისკენ გარბიხარ!...

3. ჩემო ციციანთელა, საით ჰყრენ ნელა-ნელა?  
 მე ვარ შენი ერთგული, სხვა მოგატყუებს ყველა.

4. ჩემო ციციანთელა, სადღა ჰყრენ ნელა-ნელა?  
 შენმა შორ-შორ ნათებამ უდროოდ დამანელა!



დილა

ხალხური

Allegretto

*mf*

ნა- ნავ დე- ლა დი- ლა ა- რის ცა ლაჟ-  
მზი- სა სხი- ვით ი- ფე-

*mf*

ვარ- რე- დი და და კურ- დუ- ლად  
ბა

მი- მა- ლუ- ღა თვით მთვა-

რე და თვით მთვა- რე და ვარს- კვლავთ კრე- ბა და  
თავიდან

რე და

# თბილისის დილა

სიმღერა კინოფილმიდან „აბეზარა“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის  
მუსიკა სულხან ცინცაძის

რო - ცა ჩე - მი ქვე - ნის ზე - ცას შტრე - დს - ფე - რი

ე - დე - ბა, მა - შინ დი - ლა ჩემს თბი - ლის - ში

სომ - ღე - რე - ბით თენ - ღე - ბა. თბი - ლი - სიც სომ

*f*

სომ - ღე-რა-ა, ა - ვან-თებს და გა - დავ-წვავს, უ - თბი-ლი სიდ

*f*

სა - ქარ-თვე-ლო ზღაპარ-ში - აც ა - რა მწამს ა - რა მჯე-რა,

1, 2. 3.


ა - რა მწამს.

*sf*

## ინფორმაცია Linux პროგრამის შესახებ: LMMS, ანუ Linux MultiMedia Studio

პროგრამა LMMS საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მოტივები, მოვახდინოთ ბგერების/ხმების სინთეზირება, გამოვიყენოთ ხმოვანი ნიმუშები. პროგრამას გააჩნია MIDI კლავიატურის მხარდაჭერა.

როდესაც მომხმარებელი ახდენს LMMS პროგრამის გაშვებას მონიტორის ეკრანზე, ის დაინახავს აი, ასეთ გამოსახულებას:



პანელის ნაწილები (ელემენტები) დანომრილია. თითოეულ ელემენტს თავისი ფუნქცია აქვს:

1. მთავარი მენიუ გვაძლევს პროექტის ფაილებთან, დანამატებთან და ონლაინ-ცნობართან წვდომის საშუალებას;
2. ინსტრუმენტების პანელის მარცხენა ნაწილში ორი რიგია:  
  
ზედა რიგის ღილაკები დაკავშირებულია პროექტის ფაილებთან (შევქმნათ ახალი პროექტი, გავხსნათ არსებული, შევინახოთ მიმდინარე და გადავამისამართოთ ხმოვან ფაილში);  
  
ქვედა რიგის ღილაკების დანიშნულებაა ინტერფეისის ძირითად ნაწილში სხვადასხვა ფანჯრის ეკრანზე გამოტანა/დახურვა.
3. ინსტრუმენტების პანელის მარჯვენა ნაწილში წარმოდგენილია კომპოზიციის მართვის ზოგიერთი ინსტრუმენტი, მაგალითად, ტემპი, ტაქტის ზომა, ხმოვანების სიდიდე, ტონის სიმაღლე და ვიზუალიზაციის ძირითადი პანელი.
4. გვერდით პანელს გააჩნია ექვსი ღილაკი. ნებისმიერ მათგანზე ზემოქმედება იწვევს შესაბამისი ჩანართის ჩართვა/გამორთვის მდგომარეობაში გადაყვანას.

თითოეული ჩანართი გამოსახავს გარკვეული ტიპის ინფორმაციას: Instrument plugins (ინსტრუმენტები), My projects (ჩემი პროექტები), My samples (ჩემი ნიმუშები), My presets (ჩემი რეგულირება), My home (ჩემი სახლი), My computer (ჩემი კომპიუტერი) – ყველა ზემოთ მოყვანილი მომხმარებლის განკარგულებაშია კომპოზიციის შექმნისას.


როდესაც LMMS მონიტორზეა, იხსნება ოთხი ფანჯარა:

- Song-Editor (სიმღერის რედაქტორი) – აქ შესაძლებელია კომპოზიციის შექმნა.
- Beat+Bassline Editor (ნაბიჯების რედაქტორი) – აქ იქმნება დრამები (რიტმი).
- FX-Mixer (FX მიქსერი) – ხმოვანი მიქსერია, სადაც რეგულირდება ყოველი არხის ხმოვანება. მას გააჩნია დამატებითი ფანჯარა, სადაც შესაძლებელია სპეცეფექტების დამატება და მათი ურთიერთდაკავშირება.

## პროგრამის გამოყენების ინსტრუქცია

მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოჩნდება პროგრამა LMMS-ის პანელი, მარცხენა მხარეს დავანკაპოთ ლილაკზე, რაც გამოაჩენს `semp1`-ების ჩამონათვალს. შევარჩევთ და ორჯერ დანკაპებით პანელის მარცხენა კუთხეში სასურველი `semp1` გამოჩნდება.

იმისათვის, რომ სასურველი `semp1` ჩავრთოთ, დავაჭიროთ ჩართვის ლილაკს №1. იქვეა გათიშვის ლილაკი №2



ამ პანელზე მონიშნულია შემდეგი ღილაკები: ჩართვა (მარცხნიდან პირველი), გათიშვა (მარცხნიდან მეოთხე), ბითლაინის დამატება (მეხუთე).

იმისათვის, რომ არასასურველი SEMPLE წაიშალოს, იქვეა საშუალება ღილაკიც.

Project menu+import-ზე დაწკაპებით შესაძლებელია სხვა sempl-ის ჩასმა და მისი ხანგრძლივობის გაზრდაც.

იმისათვის, რომ გავზარდოთ სემპლის ხმოვანების ხანგრძლივობა, მარტივი მოძრაობის შესრულება მოგვინებს – კურსორი ხელაულებლად გავწიოთ.

